



MES 2 23 0000179203



15/02/2023

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 13.02.2023

სხდომის დაწყების დრო: 14:27 სთ

სხდომის დასრულების დრო: 21:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დოქტორანტი - საბჭოს მდივანი.
4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.
5. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

9. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში.
10. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.
11. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
13. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვლადიმერ ლლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	მარინა აროშიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	ივდით დიასამიძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	ნატალია სურგულაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	თეონა ბერიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	მარინე გიორგაძე		დეკანი	I
7	ზაზა რუხაძე	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	უსდ-ს ვიცე-პრეზიდენტი	II
8	ქეთევან ჯინჭარაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
9	რუსუდან ციციშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	რომეო გალდავა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
11	მერაბ ნაჭყებია			III

		სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	
12	თეიმურაზ გვანცელაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
13	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
14	ნინო ნიჟარაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
15	ნუგეშა გაგნიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
16	ეკატერინე გაჩეჩილაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
17	ზაალ ქორთუა		პროგრამის ხელმძღვანელი	V
18	ლევან ჯიქია	სსიპ - შოთა მესხიას	პროგრამის ხელმძღვანელი	V
19	ქეთევან ლატარია	ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V

აკრედიტაციის ექსპერტები:

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ლევან ცაგარელი	ჩაერთო „ზუმით“	I
2	ნინო ქიმერიძე	ჩაერთო „ზუმით“	I
3	რევაზ ტაბატაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
4	ეკა ნარსია	ჩაერთო „ზუმით“	I
5	გიული კალატოზიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	I
6	ელისაბედ მაჩიტაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
7	ნანა ფირცხელანი	ჩაერთო „ზუმით“	I
8	ნინო ჯოჯუა	ჩაერთო „ზუმით“	II
9	სოფიო თოთიბაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
10	თამთა ლეკიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	II
11	სოფიკო გვრიტიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	II
12	სოფიო ბაზაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
13	ნინო პოპიაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	III
14	ხვთისო მამისიმედიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	III
15	ქრისტინე ჩიხლაძე	ჩაერთო „ზუმით“	III
16	ნინო ხუბულია	ჩაერთო „ზუმით“	III
17	მარიამ ბანძელაძე	ჩაერთო „ზუმით“	IV
18	თეონა ბერიძე	ჩაერთო „ზუმით“	IV
19	თეა თათემშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
20	მარინე არაშიძე	ჩაერთო „ზუმით“	IV
21	ნინო ქიმერიძე	ჩაერთო „ზუმით“	IV
22	ანა მჭედლიშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV
23	მერაბ ჭუმბურიძე	ჩაერთო „ზუმით“	V
24	ეკა ავალიანი	ჩაერთო „ზუმით“	V
25	ვაჟა მამიაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	V
26	თამთა კობახიძე	ჩაერთო „ზუმით“	V

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵ -ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის", "გერმანული ფილოლოგიის", "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)", "სლავური ფილოლოგიის", "თურქოლოგიის" საბაკალავრო, "თურქოლოგიის", "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)", "თარგმანმცოდნეობის და კულტურათმშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" და "აფხაზური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" "გერმანული ენისა და ლიტერატურის", "ფრანგული ენისა და ლიტერატურის", "რუსული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო და "ინგლისური ენისა და ლიტერატურის", "გერმანული ენისა და ლიტერატურის", "ფრანგული ენისა და ლიტერატურის" და "რუსული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის", "გერმანული ფილოლოგიის", "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)", "სლავური ფილოლოგიის", "თურქოლოგიის" საბაკალავრო, "თურქოლოგიის", "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)", "თარგმანმცოდნეობის და კულტურათმშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" და "აფხაზური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" "გერმანული ენისა და ლიტერატურის", "ფრანგული ენისა და ლიტერატურის", "რუსული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო და "ინგლისური ენისა და ლიტერატურის", "გერმანული ენისა და ლიტერატურის", "ფრანგული ენისა და ლიტერატურის" და "რუსული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის", "გერმანული ფილოლოგიის", "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)", "სლავური ფილოლოგიის", "თურქოლოგიის" საბაკალავრო, "თურქოლოგიის", "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)", "თარგმანმცოდნეობის და კულტურათმშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია English Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	04.11.2011 გადაწყვეტილება №245
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in English Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231-ენის დაუფლება 0231-language acquisition
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გერმანული ფილოლოგია German Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	04.11.2011, გადაწყვეტილება №243
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გერმანული ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in German Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ენის დაუფლება 0231 Language Acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნივერსიტეტის I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, 6010 ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა) Romance Philology (French, Italian and Spanish Languages and Literary)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რომანულ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in Romance Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ენის დაუფლება 0231 Language Acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტი ს I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სლავური ფილოლოგია Slavic Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი სლავურ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in Slavic Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231-ენის დაუფლება 0231-language acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტი ს I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თურქოლოგია Turkology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თურქოლოგიაში Bachelor of Arts in Turkology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231-ენის დაუფლება 0231-language acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტი ს I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თურქოლოგია Turkology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	თურქოლოგიის მაგისტრი Master of Turkology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231-ენის დაუფლება 0231-language acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტი ს I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევროპული ფილოლოგია (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია / გერმანული ფილოლოგია / ფრანგული ფილოლოგია) European Philology (English Philology / German philology / French philology)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.03.2012 გადაწყვეტილების ნომერი N47
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	„ევროპეისტიკა“ ინგლისური ფილოლოგია/ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა/ტრანსლატოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ ფრანგული ფილოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი

		MASTER OF ENGLISH PHILOLOGY; MASTER OF GERMAN PHILOLOGY; MASTER OF FRENCH PHILOLOGY;
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231-ენის დაუფლება 0231-language acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტი ს I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი. საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია Translation Studies and Intercultural Communication
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	თარგმანმცოდნეობის მაგისტრი Master of Translation Studie
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231-ენის დაუფლება 0231-language acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტი ს I კორპუსი, ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი.

		საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადეს თამარ სირაძემ, ანზორ ბერიძემ და ნინო ჭალაგანიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ლევან ცაგარელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებადა აღნიშნა, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოახდინა ძველი პროგრამების მოდიფიკაცია. ადმინისტრაციის მხრიდან იყო მზაობა, განევითარებინა პროგრამები იმის მიუხედავად, რომ არ არის მომგებიანი პროგრამები სადაც ბევრ სტუდენტს მოელიან. გამონაკლისია ანგლისტიკა, სადაც მეტი სტუდენტი. ცვლილება ძირითადად შეეხო შემდეგს. რუსული ფილოლოგიის პროგრამა გაფართოვდა და გახდა სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. ანალოგიური რამ მოხდა ფრანგული ფილოლოგიის პროგრამაში, რომელიც იქცა სლავური ფილოლოგიის პროგრამად. სამაგისტრო საფეხურზე ჩამოყალიბდა მრავალენოვანი ორი დიდი სამაგისტრო პროგრამა, ეს არის ევროპული ფილოლოგიის პროგრამა და თარგმანთმცოდნეობითი და კულტურათმშორისი კომუნიკაციის პროგრამა. რეკომენდაციები და მათი რაოდენობა განპირობებულია სწორედ ამ ცვლილებით. ექსპერტები შეეცადნენ, უნივერსიტეტს მიხმარებოდნენ განახლების პროცესში და ეჩვენებინათ განმახორცილებელი პირებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის, რა არის გასაკეთებელი, რათა ეს განახლებული პროგრამები მაქსიმალურად შეესაბამებოდეს სტანდარტს და ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს. ყველაზე მეტი რეკომენდაცია გაიცა სტრუქტურასთან დაკავშირებით, იყო ასევე რჩევებიც, სადაც კონკრეტულ მოდელებსაც სთავაზობდნენ, რათა მოახდინონ არსებული რესურსის მობილიზება, რომ არის მრავალენოვანი პროგრამები, კონკრეტული დარგების შესასწავლად მიმართული კურსი. ენის კურსებისთვის საჭიროა შესაბამისი რაოდენობის საათების გამოყოფა. რიგ შემთხვევაში საჭიროა დამატებითი კადრები იმისთვის, რომ ეს ყველაფერი კვალიფიციურად წარიმართოს. თუ უნივერსიტეტი ამ შენიშვნებს გაითვალისწინებს და სტრუქტურას ააწყობს მოდულარული პრინციპით და მეტ მოქნილობას შესძენს არჩევითობის კუთხით, ამით პროგრამები მისი აზრით, მეტად უკეთესი გახდება. საბოლოო ჯამში პროგრამა იმიტომ არის დადებითი, რომ არცერთი რეკომენდაცია არ მოითხოვს 3 ან მეტწლიან მუშაობას. ყველა მათგანის შესრულება შესაძლებელია რამდენიმე თვეშიც კი კეთილი ნების შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ვლადიმერ ლლონტი მიესალმა დამსწრე საზოგადებას და მადლობა გადაუხდა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ დასკვნაში აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით დაწესებულებას ქონდა გარკვეული მოსაზრებები. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი გასათვალისწინებელია, რაც მხედველობაში იქნება მიღებული დაწესებულების მიერ. ეს რეკომენდაციები მათთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და აქვთ განწყობა, რომ გაითვალისწინონ. თუმცა ცაკლეულ რეკომენდაციებთან მიმართებით აქვთ მოსაზრებები. ზოგიერთი რეკომენდაციის შესრულებას მართლაც არ სჭირდება 1 წელი, მაგრამ შესაძლებელია ზოგი მათგანი რჩევადაც ჩამოყალიბდეს.

პირველი რეკომენდაცია ეხება აკადემიური პერსონალის დატვირთვას, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ არის ძალიან დიდი და ხელს უშლის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წარმართვას. ასევე გააერთიანა შემდეგი რეკომენდაცია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ზღუდავს აკადემიური მობილობის შესაძლებლობას აკადემიური პერსონალისთვის. მათ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვა ინსტიტუციურად არის განსაზღვრული, მათ აქვთ სპეციალური წესი განსაზღვრული რომელსაც ჰქვია აკადემიური პირების აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესი. სადაც განსაზღვრული აქვთ, რომ პროფესორის სავალდებულო საკონტაქტო დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში შეადგენს 300 საათს. აკადემიური წლის განმავლობაში ერთკვირეული დატვირთვა აკადემიური პერსონალის, რომელიც არის აფილირებული ბსუ-თან, შეადგენს კვირაში 10 საკონტაქტო საათის შესრულებას. თუმცა, უნივერსიტეტში აკადემიურ პერსონალს აძლევენ შესაძლებლობას, ძირითადი დატვირთვისა, რომლის შესაბამისადაც ის ღებულობს შრომის ანაზღაურებას. პროფესორი საკონტაქტო სავალდებულო საათების შესრულებით იღებს ხელფასს. ამის პარალელურად დამატებით შეუძლია აიღოს დატვირთვა ე.წ საათობრივი ანაზღაურების წესით, რაც განსაზღვრული აქვთ მაქსიმალური 250 საათის ოდენობით. თუ ეს არის აკადემიური აფილირებული პირი. ის, რომ ექსპერტებმა ნახეს რეესტრის ამონაწერი და რიგი აკადემიური პერსონალის დატვირთვა იყო 600-650 საათი, ეს არის არა იმით განპირობებული, რომ უნივერსიტეტი ამას აკეთებს აპრიორულად, მბრძანებლურად ადგენს, რომ უნდა შეასრულონ ეს საათი, არამედ თვითონ აკადემიური პერსონალის სურვილია, ვალდებულებების გათვალისწინებით, , რომ მისი ძირითადი 300 საათიანი დატვირთვის შემდეგ, აიღოს დამატებით საათობრივი ანაზღაურება. გარდა ამისა, ამას ემატება საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა, რომელიც ასევე საკონტაქტო საათებით იზომება. ამ რეკომენდაციას მოცემულ შემთხვევაში, ამ სახით ვერ დაიტოვებენ, თუმცა რჩევად მიიღებენ. რაც შეეხება საკითხს, რომ უნივერსიტეტი ზღუდავს აკადემიური მობილობის შესაძლებლობას, თქვა რომ ეს ასე არ არის. არის ერთი დოკუმენტი, რომელიც არის მივლინების ადმინისტრირების წესი, რომელიც ითვალისწინებს რომ აკადემიური პერსონალი აკადემიური წლის განმავლობაში, შესაძლებელია, სამსახურეობრივ მივლინებაში იმყოფებოდეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში. დაწესებულებამ თუ აიყვანა აკადემიური პერსონალი, რომელმაც გარკვეული დატვირთვა აიღო სემესტრის დასაწყისში, შემდგომ მას დასჭირდა სემესტრის განმავლობაში გარკვეული სამსახურეობრივი მივლინებით წასვლა, დაწესებულება ამაში ეხმარება, ხელს უწყობს და 30 დღის განმავლობაში უშვებენ. თუმცა, ის სემესტრის დასაწყისში იტყვის, რომ მას აქვს აკადემიური მივლინება, აკადემიური მობილობა, ერთი სემესტრი ან ერთი აკადემიური წლის განმავლობაში ეს ყველაფერი ინსტიტუციურად განსაზღვრული აქვთ. რეკომენდაციები, რომლებიც დაკავშირებული იყო აფილირებული აკადემიური პერსონალის სიმცირესთან, იქიდან გამომდინარე, რომ ეს გახლავთ სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც განკარგავს საჯარო ფინანსებს და ექვემდებარება გარკვეულ წესებს, რომელიც ერთიანი არის

სახელმწიფოში და ქვეყანაში, რაც ბუნებრივია, ამ ეფექტიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების უგულვებელყოფას ვერ მოახდენენ. ამიტომ, მათ აქვთ შემუშავებული წესი, რომელსაც ჰქვია აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი, სადაც აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად, პროგრამის საჭიროების გათვალისწინებით, ამიტომ ამას როგორც რჩევას, ეთანხმებიან და დაიტოვებენ. იმიტომ, რომ სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად საუბარი იყო რეკომენდაციის სიმცირეზე და არა იმაზე, რომ არ არსებობს აკადემიური პერსონალი.

ის ასევე შეეხო რეკომენდაციას, სადაც საუბარი იყო პროგრამების აგების მოდულურ სისტემაზე. მან თქვა, რომ ამ შემთხვევაში პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა იმ რეალობის, კანონმდებლობის გათვალისწინებით გადაწყვიტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები იყოს არა მოდულური სისტემით, არამედ ინდივიდუალური საგანმანათლებლო სასწავლო კურსების სახით. მთავარია ამ შემთხვევაში, ამ სასწავლო კურსებით გადიოდნენ იმ კონკრეტულ შედეგებზე, რომელიც აქვს განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამას და მიიღწეოდეს ის, რაც დაგეგმილი აქვთ. შედეგებთან მიმართებით ექსპერტებს არ ჰქონიათ საწინააღმდეგო პოზიცია, ამიტომ მათი ეს არჩევანი, ინდივიდუალური სასწავლო კურსების სახით, მოწონებული იყო.

ფაკულტეტის დეკანი თეონა ბერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აქვე აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციის გაგზავნის შემდეგ, ნაწილობრივ გაიზიარეს დაწესებულების პოზიცია. მაგალითად დაზუსტდა 1-ელი რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ საუბარი სურდა სწორედ 1-ელ და მე-4 რეკომენდაციაზე

აღნიშნული რეკომენდაციები ეხება პროგრამებში სწავლის მიზნებში პროგრამის მიერ ქვეყნის განვითარებაში და დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილის უკეთ გამოსახვას და ასევე ინტერნაციონალიზმის უკეთ გამოსახვას. მან თქვა, რომ დაზუსტდა პროგრამები და მზად იყვნენ გერმანიის, ინგლისურის და თურქულის შემთხვევაში შესაბამისად ასახონ პროგრამის მიერ საზოგადოებაში შეტანილი წვლილი მიზნების ნაწილში. ინტერნაციონალიზაციის საკითხი რიგ პროგრამებში იყო დამატებითი ინფორმაციის ველში და მზად არიან დამატებითი ინფორმაციის ველიდან გადასატანი იქნეს პროგრამების სწავლის მიზნებში. ამ ნაწილში იღებენ რეკომენდაციას.

აქვე ისაუბრა 3, 6, 9 და 66 რეკომენდაციებზე და თქვა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ეხება პროგრამის მიზნების შემუშავების, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების და ზოგადად პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების მეტ ჩართულობას. ექსპერტები არგუმენტირებული პოზიციის შემდგომ გამოგზავნილ საბოლოო დასკვნაში აღნიშნავენ, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საუნივერსიტეტო დონეზე შემუშავებული აქვს რეგულაციები, წესები რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. რაც ასევე დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. თუმცა ინტერვიუს მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში დაინტერესებული მხარეები არ იყვნენ ინფორმირებულნი სწავლის მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით. სტუდენტების და კურსდამთავრებულების შემთხვევაში მათი მოწვევა ინტერვიუზე მოხდა ბრმა შემთხვევის, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე და არცერთი კურსდამთავრებული და სტუდენტი ინტერვიუს დროს არ იყო სამუშაო ჯგუფის წევრი, შესაბამისად ბუნებრივია მათ მწირი ინფორმაცია ჰქონდათ მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებით. მათ მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით შეეძლოთ გაეცათ პასუხები ექსპერტთა მერ გაცემულ კითხვებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს, ფაკულტეტს, თითოეული პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ პირებს ბოლომდე აქვთ გააზრებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, რეგულაციების შემუშავების დონეზე ეს მექანიზმი

არსებობს უნივერსიტეტში. ჰქონდათ მცდელობა ეს მექანიზმები ყოფილიყო ქმედითუნარიანი და ეფექტური, თუმცა იქ სადაც ბოლომდე ვერ მოხერხდა ჩართულობის უზრუნველყოფა, მზად არიან სამომავლოდ გაითვალისწინონ, შექმნან მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოფენ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. არ არის მარტივი, რეალურ დამსაქმებელთა ჩართულობა. კითხვარების და სხვადასხვა გამოკითხვების საშუალებით, ცდილობდნენ რეალურად მათი მოსაზრებები მიეღოთ, მაგრამ დღევანდელი შრომის ბაზარი ამ კუთხით არ არის აქტიური და ქმედითი თანამშრომლობისთვის.

ის შუამდგომლობით შემოვიდა საბჭოსთან რომ აღნიშნული რეკომენდაციები იყოს განხილული როგორც რჩევები, რადგან სრულად იაზრებენ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, ასევე პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, არ ჩერდება პროგრამაზე ზრუნვა. ეტაპობრივად, როგორც პროგრამის შეფასების დროს, ასევე მონიტორინგის წარმოებისას, მაქსიმალურად ეცდებიან ის მექანიზმები რაც არსებობს, მეტად ქმედითი გახადონ .

ასევე შეეხო 39-ე, 41-ე, 52-ე და 55-ე რეკომენდაციებს, რომლებიც შეეხება რიგი საგანმანათლებლო პროგრამების კურსით გათვალისწინებული ე.წ. რიდერების განთავსებას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს ძალიან კარგი სასწავლო პორტალი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, ჰქონდეთ წვდომა სასწავლო მასალაზე, თავისი პროფილის საშუალებით. მაქსიმალურად ცდილობენ არა მხოლოდ აკრედიტაციის პირობებში, არამედ ზოგადად უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო მასალის, იქნება ეს ძირითადი თუ დამატებითი სახელმძღვანელო, რიდერი თუ სალექციო კურსი, ხელმისაწვდომობა იყოს უზრუნველყოფილი. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს იყო კონკრეტული შემთხვევა, როდესაც რიდერი არ აღმოჩნდა ხელმისაწვდომი და პორტალზე ატვირთული. მისი თქმით, მაქსიმალურად გაუწევენ მონიტორინგს და გააკონტროლებენ იმას, რომ ნებისმიერი სტუდენტისათვის იყოს ხელმისაწვდომი სასწავლო მასალა. შესამაბისად, რეკომენდაციას რიდერების უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებასთან დაკავშირებით, თუ იქნება შესაძლებლობა, მიიღებენ რჩევად. მათი მთავრი არგუმენტია ის, რომ რიდერი კეთდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის კონკრეტულ მოცემულობაში, ამიტომ საბიბლიოთეკო პორტალზე მისი ატვირთვა ნაკლებ მიზანშეწონილად მიაჩნიათ .

რაც შეეხება 49-ე რეკომენდაციას, ბსუ-მ უნდა იზრუნოს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების პრაქტიკის დანერგვაზე. რეგულაციის დონეზე ბსუ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა ინკლუზიურობის გათვალისწინებით, მათთვის ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც კონკრეტული საჭიროებების გამოვლენის შემთხვევაშიც ეფექტურად მუშაობს. რაც ასევე ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სპეციალური სწავლის საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებას. შესაბამისად გაუჭირდებათ ამ რეკომენდაციის რეკომენდაციად მიღება, რადგან ინდივიდუალური საჭიროების შემუშავების მექანიზმი არსებობს .

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ივდით დიასამიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და კონსტრუქციული მუშაობისთვის. ამ თანამშრომლობის პროცესში გამოიკვეთა, რომ აკრედიტაციისათვის წარდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს გააჩნიათ ძლიერი მხარეები, ისევე როგორც გასაუმჯობესებელი მხარეები. დაწესებულება სრულად იღებს ვალდებულებას და პასუხისმგებლობას ამ საკითხთან მიმართებაში. ექსპერტების დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გარკვეულ ნაწილს რა თქმა უნდა ეთანხმებიან და იღებენ ვალდებულებას მათ შესრულებაზე. ექსპერტების რეკომენდაციის გათვალისწინებით მზად არიან სარეალიზაციო ენის კურსებისთვის, განსაზღვრონ ენის ფლობის დონე, განსაკუთრებით ეს გამოიკვეთა ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებით ინგლისური ენის მხრივ და

სლავური ფილოლოგიის მიმართულებით რუსული ენის მხრივ. აქვთ გამოცდილება, როდესაც მოდიან სტუდენტები წინარე ენის ცოდნით, ამიტომ იზიარებენ ამ რეკომენდაციას და მიჰყვებიან ექსპერტების მითითებებს. რაც შეეხება ფრანგულს, გერმანულს და თურქულ ენებს, მსგავსი გამოცდილება არ ჰქონიათ და ფიქრობენ, რომ თუ საჭიროება დადგება, შეუძლიათ იხელმძღვანელონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სურთ, რომ ეს რეკომენდაცია რჩევის სახით გაითვალისწინონ. ყურადღება გაამახვილა ასევე რეკომენდაციაზე, რომელიც გულისხმობს საბაკალავრო დონეზე პროგრამებმა შესთავაზოს სტუდენტს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი საჭიროებების გათვალისწინებით. საუბარია ძირითადი სწავლის არჩევით კურსებზე. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა საკუთარი არგუმენტი, რომ დაწესებულება ნამდვილად სთავაზობს სტუდენტებს ძირითადი სწავლის სფეროს კურსებს. შესაბამისად ფიქრობენ, რომ არ არღვევენ სტუდენტების აკადემიური თავისუფლების წესებს. სწავლის სფეროს არჩევითი კურსები გადალაგებულია სემესტრების მიხედვით, რაც ხელს უწყობს სტუდენტებმა განსაზღვრონ თავიანთი საჭიროებები და პრიორიტეტები, რადგანაც სემესტრული გადალაგება ეს არის დაფუძნებული თანმიმდევრული გართულების პრინციპზე და ეს ხელს შეუწყობს ამ დარგების სისტემატიზაციას და შესაბამისი არჩევანის გაკეთებას. ამ ნაწილში პროგრამები ასრულებენ რეკომენდაციით გათვალისწინებულ შინაარსს და ამიტომაც ფიქრობენ, რომ ეს რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომელიც ითვალისწინებს ენის კურსებში საკონტაქტო საათების გაზრდას, თქვა რომ მიმდინარე აკრედიტაციის წარდგენილ დოკუმენტებში, სადაც იგულისხმება საბაკალავრო პროგრამები, გაზარდეს საკონტაქტო საათების რაოდენობა 5 კრედიტის ფარგლებში, რაც წარმოადგენს 75 საათს, რაც გულისხმობს კვირაში 5 შეხვედრას, თუმცა ამავდროულად საბაკალავრო პროგრამები სთავაზობენ სტუდენტებს პრაქტიკულ კურსებს. ჯამში საკონტაქტო საათი 6-8 შეხვედრაზე ნაკლები არ არის. შესაბამისად, ეს რეკომენდაციაც სრულდება. სამაგისტრო საფეხურზე არის საკონტაქტო საათები შეზღუდული რაოდენობით, აქ რამდენადაც შესაძლებელი იქნება, გაზრდიან საკონტაქტო საათებსდა სურთ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია რჩევად მიიღონ. მან ასევე ისაუბრა რიგ რეკომენდაციებზე, რომელსაც დაწესებულება ასრულებს და არის ამის შესრულების მექანიზმი. ეთანხმებიან ექსპერტებს, რომ ეს მექანიზმი უფრო სრულყოფას, დახვეწას საჭიროებს. მაგალითად მოიყვანა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება. მან თქვა, რომ დაწესებულება ნამდვილად ზრუნავს მათი საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი ტრენინგების დაგეგმისათვის, მიმდინარე წელს სოლიდური ბიუჯეტია გამოყოფილი და გათვალისწინებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის უკეთესად წარმართვას. მიაჩნია, რომ მსგავს რეკომენდაციებს უნდა ჰქონდეს რჩევის სახე .

მარინა აროშიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა რომ საუბარია სლავურ ფილოლოგიაზე, კერძოდ მის სტრუქტურაზე, თანაბარი ადგილი დაეთმოს სხვადასხვა სლავურ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ კურსებს და თანაბარი დატვირთვითა და მოცულობით ისწავლებოდეს ყველა სლავური ენა. ამ რეკომენდაციას ვერ დაეთანხმებიან, ვინაიდან სხვა სტრუქტურული შემადგენლობა აქვს მათ პროგრამას. თანდართულ ფაილში მოცემულია 12 ანალოგი პროგრამა, რომელიც მსგავსი სტრუქტურის არის და წარმატებულად ხორციელდება ევროპის ბევრ უნივერსიტეტში: გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში. მაგალითად მოიყვანა, რომ ინსბრუკის უნივერსიტეტში სათაური შეიძლება განსხვავებული იყოს. ერთ უნივერსიტეტში არის ფოკუსი სლავური ენის, აქ მათ უნივერსიტეტში დაარქვეს სლავური ენა 1 და სლავური ენა 2 . ზოგ უნივერსიტეტში დაწერილია, რომ ფოკუსში არის რუსული ენა, არჩევითი სხვა სლავური ენა. მათ აქვთ არამოდულური სისტემა, მოდულში შეიძლება საჭიროა, თანაბარი ყურადღება მიექცეს ყველა ენას, ბსუ აძლევს სლავური ენის საერთო ბაზას, რომელშიც შედის ენობრივი კომპეტენციის და ლიტერატურული კომპეტენციის საგნები. დიდ ყურადღებას აქცევენ კულტურულ კომპონენტს. რაც შეეხება სლავურ ენებს, ჯამში მათი

პროგრამის კურსდამთავრებულს ეცოდინება სამი ენა: პირველი, სლავური ენა არის რუსული, რომელიც არჩეულია როგორც ყველაზე გავრცელებული ენა სლავურ სამყაროში. მეორე სლავურ ენად ჯერჯერობით სთავაზობენ პოლონურ და უკრაინულ ენებს არჩევითად და მომავალში აპირებენ სამხრეთ სლავური ენების წარმომადგენლის დამატებას, კონკრეტულად კი ბულგარულ ენას. ხოლო მესამე ენა გახლავთ საერთაშორისო ინგლისური ენა, რომლის ცოდნის გარეშე შეუძლებელია წარმატებული იყო ნებისმიერ სფეროში. ამიტომ ერთნაირ დატვირთვას ვერ მისცემენ ამ ენებს. ინგლისური ენა ისწავლება 20 კრედიტის ფარგლებში, პირველი სლავური ენა ისწავლება 30 კრედიტის ფარგლებში და შესაბამისად B2 დონეზე ასრულებენ ასწავლას, მეორე სლავური ენა კი ისწავლება 24 კრედიტის ფარგლებში და სულ 6 კრედიტია განსხვავება მაგრამ ამ ენას B1,2 დონით ასრულებენ. ამიტომ მისი აზრით, ევროპის 12 წარმატებულ უნივერსიტეტში განხორციელებული მსგავსი პროგრამები აძლევს იმედს, რომ დართავენ ნებას ამავე სტრუქტურის პროგრამით იხელმძღვანელონ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა შეკითხვა აკადემიური ხარისხის თავისუფლებასთან დაკავშირებით. რამდენად მაღალია ბსუ-ში აკადემიური თავისუფლება, ვინაიდან გაეცნენ საბჭოს ერთ-ერთ რეკომენდაციას, რომელიც უკავშირდება შეფასებისა და მეთოდის შერჩევას სწავლების კუთხით. რამდენად დამოუკიდებელი და თავისუფალია აკადემიური პერსონალი ამ კუთხით?

ვლადიმერ ლლონტმა თქვა, რომ მათ აქვთ შედგენილი ჩარჩო რეკომენდაციები და ნორმატიული აქტი, რომლითაც საზღვრავენ ზოგად მოთხოვნებს პროგრამის შემუშავების მიმართ, ასევე სასწავლო კურსების ფორმირებას, მიზნებსა და შედეგებს.. დანარჩენ ნაწილში რომელი ფორმა აირჩიონ, რომელი მეთოდი აირჩიონ, რა ლიტერატურით გავიდნენ შედეგის მიღწევისათვის, რა კონკრეტული მიდგომები გამოიყენონ, აკადემიური პერსონალი ამ თვალსაზრისით არის სრულიად თავისუფალი და შეუძლია განსაზღვროს იმ ეფექტიანობიდან გამომდინარე, რომელიც კონკრეტული კურსის განხორციელებას შეუწყობს ხელს, იყოს ამ არჩევანში თავისუფალი, თუმცა შემდგომ მას მოუწევს დადასტურება სამუშაო პროცესში, პროგრამაზე მუშაობის პროცესში, პროგრამის შედგენის პროცესში დადასტურება. თუ ეს კონკრეტული მის მიერ არჩეული შეფასების მეთოდები სასწავლო ლიტერატურა თუ საკითხები რომლებიც არის ჩამოლილი, რეალურად გაიყვანს მას იმ შედეგებზე რომელიც არის პროგრამით განსაზღვრული. არჩევანში აკადემიური პერსონალი არის სრულიად თავისუფალი.

მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა შეკითხვა მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებდა განმარტებას, სადაც საუბარია შემდეგზე- პროგრამის მოქნილობის უზრუნველსაყოფად და სტუდენტთა წინარე ცოდნის გასათვალისწინებლად, საჭიროა ენის პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს არჩევითი სტატუსი.

მან მიმართა ექსპერტს კლასტერულად გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ძირითადი სწავლის სფეროს ქოლგის ქვეშ მოქცეულ სასწავლო კურსებს, რომლებიც დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგებთან იქნება თავსებადი. ან იკითხა, აღნიშნული რეკომენდაცია ხომ არ არის განპირობებული იმით, რომ დაწესებულებას აქვს არჩეული ფართო მისანიჭებელი კვალიფიკაცია ანუ პროგრამა ანიჭებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს სამიზნე ენის ფილოლოგიაში. ამ ერთი ქოლგის ქვეშ ყველა სასწავლო კურსის მოქცევა ალბათ ამით იყო განპირობებული, რომ უნდა დაფარული როგორც ზოგადი ჰუმანიტარული მეცნიერებები, ასევე ძირითადი სწავლის სფერო, იგივე დარგობრივი კომპეტენციები. და თუ კრედიტების რაოდენობა საკმარისია დარგისთვის და ის არის არანაკლებ 120 კრედიტისა, ეს არ არღვევს პროგრამის სტრუქტურას.

შემდეგი შეკითხვა დასვა სლავურ ფილოლოგიასთან დაკავშირებით, ვინაიდან ზეპირი მოსმენის შემდეგ ეს არგუმენტი კიდევ უფრო გამყარდა, დაამატა კომენტარი, რომ ორივე სლავური ენის თანაბრად შეთავაზება მართლაც შეუძლებელი იქნებოდა პროგრამის

სტრუქტურულიდან გამომდინარე. პროგრამა საუნივერსიტეტო დონეზე კლასტერულად არის გაწერილი და პროგრამა სთავაზობს 60 კრედიტს თავისუფალ კომპონენტს ან მაინორ პროგრამას, რომლის არჩევის ვალდებულებაც აქვს სტუდენტს. ასევე 1-ლი და მე-2 სლავური ენები ვერ იქნება თანაბრად შეთავაზებული იქიდან გამომდინარე, რომ მეორე სლავური ენა იწყება ნულოვანი დონით, მითუმეტეს, რომ ლაპარაკია ნაკლებად პოპულარულ ენებზე. ამიტომ მისი აზრით, ის სტრუქტურა და მოდელი, რომელიც აირჩია დაწესებულებამ, სრულიად მისაღებია და რელევანტურია.

მან ისაუბრა ასევე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებთან დაკავშირებით. ინგლისურ ფილოლოგიაში არის განსაზღვრული სამიზნე ენა და საკმაოდ მაღალი ბარიერია დაწესებული: აბიტურიენტმა უნდა გადალახოს 50 % ზე მეტი და დაინტერესდა, ეს დაწესებული ფილტრი არ არის საკმარისი და რატომ თვლიან ექსპერტები, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში.

ა ბოლოს მან ისაუბრა სამაგისტრო პროგრამებზე, კერძოდ თურქოლოგიის და ევროპული ენებისა და ლიტერატურის პროგრამებზე, სადაც ექსპერტები აღნიშნავენ კვლევის მეთოდების ნაკლებობაზე, მან აღნიშნა, რომ თავად გადაავლო თვალი და ორივე პროგრამაში ისწავლება ლინგვისტური კვლევის მეთოდები და დაინტერესდა, ხომ არ საჭიროებდა გაძლიერებას ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებით და სთხოვა ექსპერტებს ამ საკითხის დაზუსტება.

ლევან ცაგარელმა თქვა რომ 1-ელ და მე-4 კითხვას ერთიანად უპასუხებდა. ენის კურსების არჩევითობა, უნივერსიტეტი როგორ გადაწყვეტს ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ აქ არის ერთი მომენტი, ორ პროგრამაზე სტუდენტი აბარებს ენის წინარე ცოდნით და იმის გამო, რომ ქართველი სტუდენტებისთვის უფრო მარტივია რამდენიმე სემესტრის განმავლობაში იმ საფეხურების შესწავლა რომლებიც მათ უკვე იციან, ისინი არ აპროტესტებენ ამ ყველაფერს. გადიან A1 დონეს, A2 დონეს B1 დონეს, B2 დონეს. ჩაბარების მომენტში კი უკვე B2 დონეზე არიან. ეს მოცემულობა არის. ასეთი შემთხვევა იყო სლავისტიკაზე და ანგლისტიკაზე. ამ ყველაფერზე უნივერსიტეტი არ რეაგირებს და სწორედ ამით იყო ეს რეკომენდაცია განპირობებული. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს პრინციპი უნდა განზოგადდეს სხვა პროგრამებზეც. მან ასევე აღნიშნა, რომ გერმანისტიკაზე არ მიუღიათ სტუდენტი, რომელმაც გერმანული B2 დონეზე იცის, მაგრამ შესაძლებელია პროგრამა თავიდანვე ისე აეწყოს, რომ ერთ დღეს მიიღონ ასეთი სტუდენტი და ასეთი სტუდენტისთვის სწავლა არ იყოს მოსაწყენი. თვითონ რომ იყოს B2 დონის სტუდენტი, ჩაიხედოს პროგრამაში და აღმოაჩინოს რომ A1-დან აიძულებენ ენის გავლას, არ აირჩევს ამ პროგრამას. ჰგონია რომ ყველა პროგრამისთვის სასარგებლო იქნება, აეწყოს იმ პრინციპით რომ ენის კურსებს ჰქონდეთ არჩევითი სტატუსი B2.2-ის გარდა ყველა საფეხურს. B2.2 საბოლოოდ უნდა მიიღწეოდეს და ამით უზრუნველყოს პროგრამა ენის დაუფლება. დანარჩენი კურსები იყოს არჩევითი იმ გაგებით, რომ თუ სტუდენტმა თავიდანვე იცის ენა, B2.2-ზე უნდა გავიდეს, თუ პირველ სემესტრში აიღებს და დაამთავრებს ამ დონით. ან თუ არ აიღებს მოუწევს A1, A2 ან ა.შ დაწყება. ნებისმიერ შემთხვევაში, გონია, რომ გამოცდა საჭიროა იმისთვის, რომ შესაბამის ჯგუფში ჩაჯდნენ.

რაც შეეხება მეორე კითხვას, მან თქვა, რომ პროგრამის უმეტესობა გაჭედილია, არჩევითი კომპონენტი არის მთლიანად იმ 60 კრედიტის იმედად, რომელიც არის გამოყოფილი ცალკე. ფაქტობრივად, სტუდენტმა მაინორზე უნდა თქვას უარი იმისთვის, რომ არჩევითი კურსები გაიაროს. რიგ პროგრამებში არჩევით 60 კრედიტიან მოდულშია ყველაფერი ის, რაც არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი კომპეტენციის. მაგალითად, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ პოლონურთან და უკრაინულთან დაკავშირებული კურსები შეიძლება იყოს ამ 60 არჩევით კრედიტში. მსგავსი რამის აღმოჩენა შეიძლება რომანისტიკის პროგრამაში და ა.შ. ეს არის ის, რის გამოც სტუდენტი იძულებული ხდება 60 კრედიტი გაიაროს, ფაქტობრივად მაინორზე უწევს უარის თქმა, რაც არ ჰგონია სწორი. გარდა ამისა, ზოგად მოდულში არის ჩადებული

საგნები, რომლებიც ფილოლოგიასთან არ არის თითქმის არანაირ კავშირში. ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ იპოვიან ვერც ინგლისური ფილოლოგიის, ვერც გერმანული ფილოლოგიის, ვერც სლავური ფილოლოგიის და ა.შ. პროგრამების ვერცერთ ევროპულ ანალოგს, რომელშიც გადიან ანტიკურ ფილოლოგიას სავალდებულოდ ან საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ან რომელიმე ქვეყნის სახელმწიფოებრიობას სავალდებულოდ. თუ უნივერსიტეტს აქვს ხედვა, რომ მას უნდა ჰქონდეს ასეთი საგნები სავალდებულოდ და თვლის რომ რაღაც მიზეზებით მის სტუდენტებს საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე უნდა ჰქონდეს წარმოდგენა და ა.შ. ეს მისაღებია მაშინ როდესაც არ ჩასვამენ 180-იანი კრედიტის ფარგლებში. გამოიტანონ ცალკე და არ შევიდეს ძირითად სასპეციალიზაციო პროგრამის შემადგენლობაში.

რაც შეეხება იმას, რამდენად შეიძლება ერთი ენა იყოს კატეგორიულად სავალდებულო პროგრამის ფარგლებში და მეორე ენა იყოს არჩევითი, იმ არგუმენტით, რომ ვერ ჩაეტევა დროში და შეუძლებელია ამდენი ენა ისწავლოს, ექსპერტმა თქვა, რომ შეუძლებელი არ არის, რადგან სკანდინავისტიკაში სწავლობენ სამი სკანდინავიური ენიდან 2+1 აქედან ისლანდიურ ენას, როგორც ძველს. მან აღნიშნა, რომ ჩახედა ინსტრუქციის უნივერსიტეტის პროგრამას, როგორც ამ პროგრამის ანალოგს და ნამდვილად ესეა, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ეს უნდა გაიმეორონ. მან სთხოვა უსდ-ს, წარმოედგინათ გონებაში ანგლისტიკის პროგრამა, რომელშიც გერმანულს სწავლობენ ინგლისურის ბაზაზე, პროგრამას ჰქვია გერმანიკული ფილოლოგია და გერმანიკული ფილოლოგიის შიგნით მძლავრად სწავლობენ ყველანი ინგლისურს და ცალკე სწავლობენ გერმანულს, ბოლოს კი ხდებიან გერმანიკული ფილოლოგიის ფილოლოგები. მისი თქმით, ეს დაახლოებით მსგავსი ფენომენია რომანისტიკის და სლავისტიკის პროგრამაში. ერთი ენა პრევალირებს და ეს ენა პრევალირებს არა მარტო პრაქტიკული კურსების დონეზე, არამედ თეორიული კურსების დონეზეც. მეორე ენა კი დამხმარე ენის სახითაა. თუ პროგრამას პრეტენზია აქვს, გასცეს სლავური ფილოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაცია, ან გასცეს რომანული ფილოლოგიის კვალიფიკაცია, ეს ნიშნავს იმას, რომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ნებისმიერ რომანულ და ნებისმერ სლავურ ენაში გაიღრმავოს ცოდნა. იმ ენაში მიიღოს უფრო მეტი კვალიფიკაცია რაც თავად უნდა. რატომ ვაიძულებთ რომანული ფილოლოგიის ხაზს ფრანგულის შესწავლას და რატომ ვაიძულებთ სლავური ფილოლოგიის ხაზს რუსულის შესწავლას? გეოპოლიტიკური ვითარება მუდმივად იცვლება, ყველანაირი კრიტერიუმით შეიძლება ითქვას, რომ ესპანური უფრო აქტუალურია მსოფლიოში ვიდრე ფრანგული და ა.შ. შესაბამისად, სტუდენტს უნდა ჰქონდეს მეტი თავისუფლება და ამისკენ მოუწოდებს პროგრამას .

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, ექსპერტმა თქვა, რომ რეალურად არ არის პროგრამაში აკადემიური წერის კურსი წარმოდგენილი, პროგრამის განმახორციელებლებს იმედი აქვთ, რომ საბაკალავრო აკადემიური წერის ფარგლებში მიღებული გამოცდილება გამოადგებათ, მაგრამ ექსპერტის კოლეგებმა ჩათვალეს რომ ეს ასე არ არის იმიტომ, რომ შეიძლება სტუდენტი მოვიდეს სხვა უნივერსიტეტიდან ან ზოგადადაც, სხვა მოთხოვნებია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე. მეორე კვლევის მეთოდები ლიტერატურათმცოდნეობაში აღმოაჩინეს, რომ ერთიც არის და მეორეც, მაგრამ არის პროგრამები რომლებშიც არ გვაქვს შესაბამისი კვლევის მეთოდები. მაგალითად, თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში არ არის თარგმანის კვლევის მეთოდები. ამ დროს თარგმანის კვლევის კრიტიკა არსებობს, თარგმანმცოდნეობითი მეთოდები არსებობს და ა.შ. ამიტომ, ექსპერტის აზრით, ლინგვისტური კვლევის მეთოდები თარგმანმცოდნეობას არ ეყოფა დასაძლევად. უნდა არსებობდეს ცალკე საგანი, რომელშიც სტუდენტი ისწავლის, როგორ გააკრიტიკოს თარგმანი, როგორ შეაფასოს და ანალიზი როგორ გაუკეთოს.

მაკა კაჭარავამ დასვა შეკითხვა, მეორე სლავურ ენას აქვს თუ არა სავალდებულო/არჩევითი სტატუსი და ირჩევა თუ არა აუცილებლად პოლონური ან უკრაინული ენა. მან ასევე აღნიშნა, რომ კარგია, რომ სკანდინავისტიკის პროგრამა ახსენა ექსპერტმა, ვინაიდან საბჭოზე იყო ბოლო ხანებში ასეთი პროგრამის განხილვა და თქვა, რომ სკანდინავისტიკის პროგრამას აქვს ზუსტად ეს მოდელი არჩეული, პირველი ენა არის ნორვეგიული, მეორე ენა არის შვედური, რომლის

ენობრივი კომპეტენციის მისაღწევი დონე არის B1 და ნაკლები დონით არის შეთავაზებული და პლუს ისლანდიური ენაა შეთავაზებული არჩევით ბლოკში. მისი აზრით მსგავსი მოდელი აქვს არჩეული დაწესებულებას .

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა აროშიძემ უპასუხა კითხვას და თქვა, რომ პირველი ენა სლავური (რუსული) არის სავალდებულო ბლოკში. შემდეგ არის სავალდებულო/არჩევითი ან პოლონური ან უკრაინული. განსხვავება 30 კრედიტია რუსული ენის პრაქტიკული კურსებისთვის, 26 კრედიტია მეორე სლავური ენა. შესაბამისად სხვადასხვა დონით იწყებენ. B2-ზე გადის ერთ შემთხვევაში და მეორე სლავური ენა გადის B1 დონეზე. მათი აზრით, მოქმედი მსგავსი სტრუქტურის წარმატებული პროგრამები აძლევთ შესაძლებლობას, გაიაზრონ ეს ყველაფერი. მისი თქმით, ერთი ენის საფუძველზე მეორე ენის შესწავლა არ ხდება. ისინი აძლევენ ზოგადი ფილოლოგიური ბაზისთვის საჭირო საგნებს, აქ შედის სლავური ფილოლოგიის შესავალი, სადაც ყველა სლავური ენის სპეციფიკის განხილვა ხდება, სლავური ენების შედარებითი გრამატიკა, სლავური სამყარო თანამედროვე სამყაროში, რომელიც სავალდებულო საგანია და ქვეყანათმცოდნეობას და კულტურულ კომპონენტს მოიცავს. შესაბამისად არჩევით ენებთან ერთად სტუდენტი ირჩევს შესაბამის კურსებს. მაგალითად თუ პოლონური ენა აირჩია, ასევე ირჩევს პოლონურ ლიტერატურას და სწავლობს დაწვრილებით. თუ უკრაინული აირჩია, უკრაინულ ენას სწავლობს დაწვრილებით. ის დაეთანხმა ექსპერტს, რომ ისეთი საგნები როგორც არის პოლონეთის ქვეყანათმცოდნეობა, უკრაინის ქვეყანათმცოდნეობა, ეს აქვთ ნამდვილად არჩევით საგნებში იმიტომ იმ 180 კრედიტში ვერ ჩაეტივნენ, მაგრამ თუ სტუდენტს სურვილი აქვს გაიღრმავოს ცოდნა ამ კუთხით, აქვს შესაძლებლობა ცოდნა გაიღრმავოს 60 კრედიტის ფარგლებში..

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, შესაძლებელია თუ არა ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტს ძირითადი კონცენტრაცია ჰქონდეს პოლონური და მეორე ენას სწავლობდეს უკრაინულს და არ ხდებოდეს რუსული ენის დავალდებულება?

მარინა აროშიძემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე ჰყავთ ორი სპეციალისტი პოლონური ენის და ერთი სპეციალისტი უკრაინული ენის, ისინი მუშაობენ ბულგარული ენის სპეციალისტის მოწვევაზე და კიდევ უნდათ გაზარდონ პოტენციური უკრაინული ფილოლოგიის განხრით, მომავალში ეცდებიან მეტი შემოთავაზება ჰქონდეთ სტუდენტებს ამ მხრივ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასე არის დაბალანსებული.

ირინა ლობჟანიძემ ასევე კითხვა დაუსვა ექსპერტს და თქვა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია გაცემული იყო იმის თაობაზე, რომ დაბალანსებულად იყოს ჩართული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი სხვადასხვა მიმართულებით და შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო კურსებში სხვადასხვა სასწავლო ლიტერატურის ინტეგრირებას. იქვე იყო აღნიშნული რომ კურსს უნდა გაუძღვეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი. მან ასევე დასვა შეკითხვა, თუ საიდან მოდიოდა ამ რეკომენდაციების შინაარსი? აღნიშნული რეკომენდაციები გაიცა იმიტომ , რომ პროგრამას ასრულებდა ხარისხის არმქონე პერსონალი თუ იყო პრობლემა უბრალოდ დაბალანსების თვალსაზრისით?

მან ასევე დასვა შეკითხვა შემდეგრჩევასთან დაკავშირებით:.. სასურველია თარგმანმცოდნეობითი პროგრამისთვის მოხდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტეგრირება სასწავლო კურსებში“ რამდენად მიიჩნევს ის, რომ ეს რჩევაა და არა რეკომენდაცია?

მან ასევე აღნიშნა, რომ არაერთი რეკომენდაცია გაიცა უშუალოდ დამსაქმებლის ჩართულობასთან დაკავშირებით, თურქოლოგიის პროგრამის შემთხვევაში ეს იყო რჩევა დანარჩენ შემთხვევაში იყო როგორც რეკომენდაცია. შესაბამისად, დაინტერესდა, როგორი მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით თურქოლოგიის პროგრამის შემთხვევაში?

ლევან ცაგარელმა თქვა, რომ პერსონალი პროგრამებზე რიცხობრივად საკმარისია, განსაკუთრებით ზოგადი მოდულის ჩასმის ხარჯზე შთამბეჭდავი რიცხვები გამოდის. იმიტომ,

რომ ზოგად მოდულში ჩართულ პერსონალს, რომლებიც ძირითადად პროფესორები არიან, მიათვლიან ამ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობას. ბალანსი არის შემდეგი სახის: პოლონური და უკრაინული ენების სპეციალისტები, არცერთი არ არის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი. თუმცა, ამ ნაწილში ინტერნაციონალიზაციის კუთხით პროგრამას კარგად აქვს საქმე. ყველა, ვინც ამ პროგრამაში ჩართულია პროფესორის სახით, პროფესიოდ არის რუსისტი, მაგრამ თუ უსდ პროგრამას ავითარებს სლავისტიკის მიმართულებით, მაშინ სლავური ენების თითო წარმომადგენელი მაინც უნდა ყავდეთ პროგრამაში ჩართული. მაგალითად პოლონური ენათმეცნიერების ა პოლონური ლიტერატურის მიმართულებით და ა.შ. ეს ის გამოწვევაა, რომლის წინაშეც ახლა დგას უნივერსიტეტი. მისი თქმით, იგივე მდგომარეობაა ფრანგულ ენასთან დაკავშირებით. იქ არის ერთი ფრანგულის სპეციალისტი და მეორე არის იტალიური ენის სპეციალისტი, თუმცა, არ ჰყავთ ესპანისტი. მისი თქმით, თავისუფლად შეიძლება კონკურსის გამოცხადება და მიღება აფილირებული პერსონალის. ანუ, თუ უნივერსიტეტს უნდა, ჰქონდეს რომანისტიკა და სლავისტიკა და არა ფრანგული ფილოლოგია და რუსული ფილოლოგია, მაშინ უსდ-მ უნდა მიიღოს დამატებითი კადრები, მითუმეტეს, რომ კადრები ყავთ და საუბარია მათ დანიშვნაზე აფილირებული აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, დარგის სპეციალისტებთან დაკავშირებით, ლევან ცაგარელმა თქვა, რომ ეს პროგრამა სხვადასხვა სახით აქამდეც არსებობდა. ამ პროგრამაზე ძირითადად იღებენ ინგლისური ენის მცოდნე სტუდენტებს, თუმცა პროგრამა არ არის აწყობილი მოდულარული პრინციპით, რაც სილაბუსებს ეტყობა შეუიარაღებელი თვალითაც კი. ყველაფერი აწყობილია ინგლისურად, ინგლისური სამეცნიერო ლიტერატურა, ინგლისური სავარჯიშოები, პერსონალიც ძირითადად არის ინგლისურენოვანი და როდესაც ექსპერტებმა დასვეს ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები, პასუხად მიიღეს, რომ = თუ საჭიროება გაჩნდა და ჯგუფში აღმოჩნდა გერმანულენოვანი სტუდენტი, მას ცალკე დაენიშნება ლექტორი, რომელიც გერმანულენოვანი მასალით გაუძღვება კურსს. მისი აზრით ეს მოუქნელი და არარეალისტური მეთოდია, ამიტომ უფრო მოსახერხებელი იქნება, როცა სტუდენტს უნდა გერმანულ-ქართული თარგმანის სწავლა, მას ჰქონდეს ინფორმაცია, რომ ამ პროგრამის ფარგლებში არის ცალკე მოდული რომელიც აქცენტს აკეთებს ამაზე. თქვა რომ ზოგ საგანზე არის ენის სწავლების მეთოდის და დიდაქტიკის კურსი, რომელიც ასევე ინგლისურენოვან სტუდენტზეა ორიენტირებული. გასაგებია, რომ ის სტუდენტი ვინც ამ პროგრამაზე აბარებს არის ინგლისურენოვანი, მაგრამ თუ პროგრამას აქვს ამბიცია, რომ სხვა ენებიც მოიცვას, მნიშვნელოვანია არსებობდეს სხვა კურსები რომლებიც ამ ენებს შეეხება. მითუმეტეს, რომ ინგლისური ენის სწავლების მეთოდის სხვა, გერმანულის სხვა, რუსულის სხვა და ყველა სხვა ენის მეთოდის განსხვავდება. ანალოგიურად არის თარგმანზე, არ შეიძლება ინგლისურ-ქართული თარგმანის პრინციპების მიხედვით ასწავლო გერმანულ-ქართული თარგმანი ან სხვა. ამიტომ ეს პროგრამა არის გადასამუშავებელი, კურსები უნდა დაშალოს მოდულებად და ა.შ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი ეკა ნარსია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გასცა პასუხი კითხვას, თუ რამ გამოიწვია რჩევა თარგმანთმცოდნეობითი პროგრამისთვის მოხდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების ინტეგრირება? თქვა რომ ერთ-ერთ საგანში ეს არის აუდიო-ვიზუალური თარგმანის სმარტ ტექნოლოგიები, არის ასევე თარგმანთმცოდნეობითი აქტუალური საკითხები. მისი თქმით, ნახსენებია მხოლოდ ერთი თემა კვირის ფარგლებში. რადან ამდენი ტიპის დარგობრივი თარგმანი არის შემოთავაზებული, თქვა, რომ ინგლისურისთვის მაინც ერთი კვირა მხოლოდ და მხოლოდ გაცნობითი ხასიათის საკმარისი არ იყო და სწორედ ამ თვალსაზრისით დაიწერა ეს რეკომენდაცია. მისი თქმით, ინტერვიუსას უსდ-ს მხრიდან გაჟერდა, რომ დაგემილია პარარელური კორპუსების ჩართვა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნება ის მასალა მაინც იყოს გამოყენებული კომპიუტერული ტექნოლოგიების თვალსაზრისით რაც ხელმისაწვდომია.

ირინა ლობჯანიძემ თქვა, რომ გასაგებია ამ რჩევის გაცემის დანიშნულება, თუმცა . დააზუსტა, ექსპერტის აზრითეს უფრო რჩევაა თუ რეკომენცია?

რაზეც ეკა ნარსიამ უპასუხა, რომ რადგან თვითონ საგანს სთავაზობენ უკეთესი იქნებოდა კომპიუტერული ტექნოლოგიების მეტი ინტეგრირება .

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელი ელისაბედ მაჩიტაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და უპასუხა შეკითხვას თურქოლოგიის პროგრამასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ თურქეთი არის მათი უშუალო მეზობელი, დღესდღეობით თურქოლოგია არის სტრატეგიული დარგი და საკმაოდ ფართოა დასაქმების სფეროები. სწორედ ამით გამოიხატება ამ დარგის მიმართ ინტერესი. თვითონ პროგრამაში მითითებული იყო მთელი რიგი დასაქმების სფეროები, ეს გახლავთ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრები სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები , რედაქციები და გამომცემლობები, პროფესიული გაერთიანებები, დიპლომატიური წარმომადგენლობები, საინფორმაციო და ტურისტული სააგენტოები და ა.შ. მან აღნიშნა, რომ შეხვდნენ რამდენიმე პიროვნებას რომლებიც სხვადასხვა სფეროს წარმოადგენდნენ. კერძოდ ესენი იყვნენ: მუზეუმის თანამშრომლები, ბიზნეს სტრუქტურის წარმომადგენელი, სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები. გარდა ამისა, გაესაუბრნენ კურსდამთავრებულებს, რომლებიც მუშაობდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში. ესენია, კერძო დაწესებულებები. ასევე თურქული და ქართული კომპანიები. შესაბამისად მისცეს რამდენიმე რეკომენდაცია, რომ მეტი ყურადღება გაამახვილონ დარგობრივ ტექსტებზე და ენობრივ კომპეტენციებზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:43 სთ

დასრულების დრო: 16:54 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და 2.1 ქვეკომპონენტი, ნაცვლად "შესაბამისია მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის

პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თარგმანმცოდნეობის და კულტურათმშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თარგმანმცოდნეობის და კულტურათმშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თარგმანმცოდნეობის და კულტურათმშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და 2.1 ქვეკომპონენტი, ნაცვლად "შესაბამისია მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
კლასტერის საერთო რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების მიზნების აღწერაში დაზუსტდეს, როგორი წვლილის შეტანა შეუძლია პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში ადგილობრივი მოცემულობის გათვალისწინებით.

- პროგრამების მიზნების შემუშავებისას გასათვალისწინებელია შრომის ბაზრის მოთხოვნები, რომლებიც უნდა გაირკვეს კვალიფიციურად ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.
- ბსუ-მა უნდა აამოქმედოს პროგრამის მიზნების შემუშავების იმგვარი მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ პროგრამების ხელმძღვანელების, არამედ აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა ამ პროცესში.
- მნიშვნელოვანია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამის მიზნებში (რომანული ფილოლოგიის გარდა) აისახოს თითოეული მათგანის ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება, პოტენციალი და პერსპექტივები.
- პროგრამების სწავლის შედეგები მეტად უნდა შეესაბამებოდეს დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.
- პროგრამის მოქნილობის უზრუნველსაყოფად და სტუდენტთა წინარეცოდნის გასათვალისწინებლად საჭიროა ენის პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს არჩევითი სტატუსი.
- ენის შესწავლის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ჩაუტარდეთ ტესტირება ენის ცოდნის დონის დასადგენად, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს ენის შესწავლა შესაბამისი საფეხურიდან.
- ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით და პროგრამებში ფუნქციური დუბლირებების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ენის კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე (თითო ქვესაფეხურის დასაძლევად საკონტაქტო საათების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს კვირაში 6-8 საათზე ნაკლები).
- მნიშვნელოვანია, პროფესორ-მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვრონ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები თავიანთი კურსებისთვის ამ უკანასკნელთა მიზნების, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით.
- სწავლება-სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, სწავლება წარიმართოს სტუდენტზე ორიენტირებული, მათ შორის ელექტორული სწავლების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში.
- ბსუ-მა უნდა იზრუნოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების პრაქტიკის დანერგვაზე.
- პროგრამაში უნდა დაიშვას შეფასების მეთოდებისა და კომპონენტების მრავალფეროვნება, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის თითოეული შედეგის შეფასება სასწავლო კურსის ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით.
- ბსუ-მა უნდა უზრუნველჰქოს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები იწერებოდეს ქართულ ენაზე.
- მნიშვნელოვანია, შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ სამეცნიერო ბაზების გაცნობა სტუდენტებისათვის და მათი გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება კვლევითი პროცესების გაუმჯობესების მიზნით;
- კლასტერში გაერთიანებული პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე დაკისრებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, შემცირდეს პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვა იმგვარად, რომ მათ რჩებოდეთ დრო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.
- თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველსაყოფად შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით მნიშვნელოვანია, ბსუ-ში მოქმედებდეს აკადემიური პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის უფრო კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელიც აისახება შესაბამის წესში და რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება, თითოეულ

პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელ და პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებულ პროფესორთა რაოდენობა დაიგეგმოს სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად.

- პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, ბსუ-მა სისტემატურად შეისწავლოს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებლები, გააანალიზოს ისინი და ანალიზის შედეგები გამოიყენოს პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
- მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ჩართული იყვნენ სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამების შეფასების პროცესში იმგვარად, რომ მათ მიერ თავიანთ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები ნაკარნახევი იყოს პროგრამების შეფასების ანალიზის შედეგებით.
- მნიშვნელოვანია, აკადემიური პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევა განხორციელდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამუშაო ჯგუფის მიერ იმგვარად, რომ წარმოჩნდეს პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონკრეტული საჭიროებები.
- კვლევის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად საჭიროა, შემცირდეს პროფესორთა აკადემიური დატვირთვა, მათთვის გამოიყოს სამუშაო სივრცე (კაბინეტები კომპიუტერული აღჭურვილობით) და მათ მიეცეთ შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად ისარგებლონ ხანგრძლივი (რამდენიმეთვიანი, ერთსემესტრიანი) აკადემიური მივლინებებით (ინგლ. sabbatical).
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მიღწევის უზრუნველსაყოფად ბსუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს და საერთო ონლაინ-კატალოგში უნდა იმეზნებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო წყარო და სხვა სასწავლო მასალა.
- იმისთვის, რათა ენის დაუფლების სფეროსთან დაკავშირებული ახალი და უახლესი სამეცნიერო კვლევის შედეგები გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად, ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება მათთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემების, ციფრული რესურსებისა და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ.
- 23. გადამუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, სადაც აისახება კლასტერული აკრედიტაციის ჩარჩოში წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესები, პროცედურები და თანმხლები დოკუმენტები.

კლასტერის საერთო რჩევები

- ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს ყველა ახალი (რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო, თურქოლოგიის სამაგისტრო, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორისი კომუნიკაციის სამაგისტრო) პროგრამის საჯარო ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.
- საჭიროა, (კურიკულუმებში ან თვითშეფასების ანგარიშში მაინც) გამოიკვეთოს, რამდენადაა კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება დამყარებული თანმიმდევრული გართულების პრინციპზე, რათა აშკარა იყოს, საბაკალავრო საფეხურის რომელ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს „დაშენდება“ სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი კომპეტენციები.
- სასურველია, გადაიხედოს და შინაარსობრივად დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების რუკები.

- სასურველია, სწავლის შედეგების მინიმალური ზღვრების დადგენა ძველ პროგრამებზე მოხდეს სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხოლო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში მსგავსი პროგრამების სწავლის შედეგების ანალიზი და დარგობრივი გამოცდილება იქნას მხედველობაში მიღებული.
- სასურველია, სასწავლო გეგმებში კურსები დაჯგუფდეს თემატური ან რაიმე სხვა ლოგიკური პრინციპით. მიზანშეწონილი ჩანს ასევე მოდულარული პრინციპის ამოქმედებაც, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, არჩევითი მოდულის ფარგლებში გაიღრმავონ კომპეტენციები მათთვის სასურველი (ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, ქვეყანათმცოდნეობის...) მიმართულებით.
- სასურველია, პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება მათში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართვით.
- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ყოველკვირეული სასწავლო მასალა გვერდების მითითებით.
- სწავლის შედეგების მიღწევის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია მოხდეს პროგრამის სილაბუსებით გაწერილი სასემინარო აქტივობების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გამრავალფეროვნება. აღნიშნული შეფასების მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შინაარსისა და რეალური პროცესების გათვალისწინებით და სილაბუსებში გაიწეროს შერჩეული შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები.
- აკადემიურ პერსონალს, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს შესაბამისი სამსახურის მიერ ჩაუტარდეს პერიოდულად კონსულტაციები შეფასების სისტემის არსებული გაიდლაინებისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების გაცნობის მიზნით.
- სასურველია ინტერნაციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობის მიზნით გაცვლით პროგრამებში საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა და საორგანიზაციო პროცედურებზე პასუხისმგებელი შესაბამისი მხარდამჭერი სამსახურების აქტივობის გაძლიერება;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობის მიზნით სასურველია უცხოელი მოწვეული ლექტორების (native speakers) სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა;
- მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სტუდენტურ კონფერენციებში საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა;
- სასურველია, კონსულტაციები ტარდებოდეს ნაკლებად ფორმალიზებული სახით (ბრძანებისა და ცხრილის გარეშე) და კონსულტაციების ჩასატარებლად თითოეული პროფესორისთვის გამოყოფილი იყოს ინდივიდუალური ან საზიარო სამუშაო სივრცე.
- სასურველია, პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვები არ იყოს ასე განსხვავებული ერთმანეთისგან და მეტად შეესაბამებოდეს საუნივერსიტეტო წესის მიხედვით განსაზღვრულ დატვირთვის სქემას.
- სასურველია, აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი რაოდენობრივი მაჩვენებლები უფრო ზუსტი იყოს, სახელდობრ, სტუდენტების რაოდენობა დაანგარიშებული უნდა იყოს არა ჰიპოტეტური/სასურველი რაოდენობების, არამედ რეალური რაოდენობების გათვალისწინებით, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობრივ მაჩვენებლებში უნდა აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი, რომელსაც პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი აქვს.
- სასურველია, ბსუ-ის ადმინისტრაციას ჰქონდეს ხედვა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში აკადემიური პერსონალის ახალი კადრებით შევსების / ახალგაზრდა პროფესორთა დასაქმების სიხშირის შესახებ.

- იმისთვის, რათა აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების გავლა არ გამოდგეს უშედეგო, სასურველია ბსუ-ს ჰქონდეს ტრენინგის შედეგად სასწავლო პროცესში განხორციელებული ცვლილებების მონიტორინგისა (და საჭიროების შემთხვევაში —წახალისების) მექანიზმი.
- სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით სასურველია, ტრადიციული ტიპის აუდიტორიებთან ერთად ენის სწავლების სფეროს საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოიპოვებოდეს სასემინარო ტიპის აუდიტორიები მერხების წრიული განლაგებით.
- სასურველია, კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები თავისუფლად ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
- სასურველია, მცირეშემოსავლიანი / წამგებიანი პროგრამების ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად ბსუ-ის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებზე დამყარებული სტრატეგია.
- თითოეული პროგრამის ბიუჯეტის გასაანალიზებლად უფრო სასარგებლო იქნება, თუ მოქმედი პროგრამების შემთხვევაში სამომავლოდ წარმოდგენილი იქნება არა ბიუჯეტის სასურველი, არამედ რეალური ვარიანტი.
- რეგულარულად მომზადდეს ვორკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.
- სასურველია გაფართოვდეს გარეშეფასების არეალი და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებდა კალსტერული აკრედიტაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს.
- უნივერსიტეტმა/დეპარტამენტმა სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, ენების ცენტრთან თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან უნდა გააფორმოს მემორანდუმები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.
- ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს თავისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ შეძლონ, ჯეროვნად გაუძღვნონ სასწავლო პროცესს ონლაინ-ფორმატში.

პროგრამა 1 - "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები:

- აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
- გადაიხედოს და მოდიფიცირდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმა ინგლისური ენის ინტეგრირებულ კურსებთან დაკავშირებით; სტუდენტები განაწილდნენ ჯგუფებში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე ინგლისურ ენაში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, სწავლა დაიწყოს ინგლისური ენის იმ დონიდან, რომელიც შესაბამისი იქნება მის ენობრივ კომპეტენციასთან;
- გადაიხედოს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) დადგინდეს საგნებისათვის წინაპირობები და, რიგ შემთხვევაში, მოხდეს მათი მოდიფიკაცია.

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსებისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბილიოთეკაში.

რჩევები:

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან.
- გამდიდრდეს ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში.
- სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის რესურსი არ იხარჯებოდეს ენის პრაქტიკული კურსების სწავლებაზე.
- სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე დაცული იყოს რაოდენობრივი ბალანსი ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების პროფესორებს შორის, რათა სტუდენტებს არ ჰქონდეთ შეზღუდვა თავიანთი საბაკალავრო ნაშრომებისთვის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევისას

პროგრამა 2 - "გერმანული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები:

- აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად გერმანული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
- გერმანული ფილოლოგიის პროგრამაში გადაიხედოს და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსისთვის წინაპირობები.
- გერმანული ფილოლოგიის პროგრამის კურსებისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბილიოთეკაში.
- გერმანული ფილოლოგიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მასში ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კომპონენტების განხორციელებაში ჩართული იყოს მეტი აფილირებული პროფესორი.

რჩევები:

- გერმანული ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან.
- მნიშვნელოვანია, გერმანული ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში შექმნილი საბაკალავრო ნაშრომები ეფუძნებოდეს თანამედროვე ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნო სტატიებს და სხვა).
- განახლდეს გერმანული ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;

პროგრამა 3 - "რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად რომანული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
- რომანული ფილოლოგიის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა, „ძირითადი სპეციალობის“ ფარგლებში თანაბარი ადგილი დაეთმოს სხვადასხვა რომანულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ თეორიულსა და პრაქტიკულ კურსებს, რისთვისაც შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს კურიკულუმში არჩევითი მოდულების გამოყოფა.
- რომანული ფილოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე რომანული (ფრანგული, ესპანური და იტალიური) ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.

რჩევები:

- რომანულ ფილოლოგიის დარგში კვალიფიკაციის მისანიჭებლად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში თანაბარი ყურადღება და ადგილი დაეთმოს ფრანგულ, ესპანურსა და იტალიურ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობას.
- რომანული ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან.
- გამდიდრდეს ფრანგული ენების კურსების ლიტერატურის ნაწილი, თუნდაც დამატებითი ლიტერატურის სახით.

პროგრამა 4 - "სლავური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- სლავური ფილოლოგიის პროგრამაში ფილოლოგიური კვალიფიკაციის მისანიჭებლად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ენათმეცნიერულ კომპეტენციებთან ერთად სათანადო ყურადღება და ადგილი დაეთმოს ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებსაც.
- აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
- მნიშვნელოვანია, რომ სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სავალდებულო კურსეზე/საგნებზე დაშვების წინაპირობა იყოს დასამუშავებელი ლიტერატურისა და კურსის ასათვისებლად საჭირო წინარეცოდნის ადეკვატური.
- სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსი უნდა გადაიხედოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობა.

- სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა უნდა განისაზღვროს ამ კურსის შინაარსითა და ინდივიდუალური სპეციფიკით.
- სლავური ფილოლოგიის პროგრამაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა უნდა იყოს ადეკვატური და შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის ინდივიდუალურ (!) სპეციფიკას.
- სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგებთან სასწავლო მასალის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, სილაბუსებში სამეცნიერო წყაროებთან ერთად მითითებული იყოს დაკვირვების ობიექტად გამოსადეგი პირველადი წყაროებიც / საკვლევი ტექსტებიც.]
- თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაში გადაიხედოს სამიზნების ენის B 2 დონეზე ჩაბარების საკითხი.
- სლავური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე სლავური (რუსული, პოლონური და უკრაინული) ენისა და ლიტერატურის მიმართულეებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.

რჩევები:

- სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა შეიძლება აიწყოს მოდულურული პრინციპით (რუსისტიკის, პოლონისტიკისა და უკრაინისტიკის სავალდებულო-არჩევითი მოდულები). თითოეულ მოდულში ენის კურსებთან ერთად მოექცეოდა შესაბამისი ქვეყნის ლიტერატურისა და ქვეყანათმცოდნეობის კურსები, ასევე თარგმანთან, ფუნქციურ სტილისტიკასა და დარგობრივ ენებთან დაკავშირებული გამოყენებითი კურსები.
- სწავლის შედეგების მისაღწევად სავსებით საკმარისი იქნებოდა, სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითო ან ორ-ორი მსხვილი (5-6-კრედიტიანი) კურსი დათმობოდა თითოეულ სლავურ ენაზე შექმნილ ლიტერატურასა და სლავური ენების შედარებითი ენათმეცნიერული კვლევის საკითხებს.
- სლავური ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან.
- სლავური ფილოლოგიის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა, „ძირითადი სპეციალობის“ ფარგლებში თანაბარი ადგილი დაეთმოს სხვადასხვა სლავურ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ კურსებს და თანაბარი დატვირთვითა და მოცულობით ისწავლებოდეს ყველა სლავური ენა.
- სასურველია, სლავური ფილოლოგიის თეორიული კურსების შემთხვევაში გამოიყოს მეტი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რაც უნდა აისახოს მათთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობაზეც.
- პროგრამაში, რომელსაც სლავისტიკის პროფილი აქვს, უნდა გამოიყენებოდეს არა მხოლოდ რუსულენოვანი, არამედ სხვა (სლავურ) ენებზე შექმნილი სამეცნიერო წყაროებიც.
- სასურველია, სლავური ფილოლოგიის პროგრამაზე მისაღები სტუდენტების გაზრდილი კონტინგენტი შენარჩუნდეს ან კიდევ უფრო გაიზარდოს პროგრამის გაფართოების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები:

- აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
- უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.

რჩევები:

- სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში აისახოს თურქულენოვანი ქვეყნების შესწავლა.
- სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ დარგობრივ ტექსტებს და ფლობდნენ სათანადო ლექსიკას, რაც დაეხმარებათ დასაქმებაში.
- თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში სალექციო თემები მიეთითოს ქართულ ენაზე.
- თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილ სილაბუსებში გადაიხედოს და განახლდეს ლიტერატურა.
- სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას.
- სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ყურადღება გამახვილდეს დარგობრივ ტექსტებზე.
- სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის რესურსი არ იხარჯებოდეს ენის პრაქტიკული კურსების სწავლებაზე.
- თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში უნდა აისახოს სრული აკადემიური პერსონალის სახელფასო ხარჯი.
- თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამა 6 - "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსით დაემატოს კურსები, რომლებითაც სტუდენტები დაეუფლებიან კვლევითი მიდგომებსა (კვლევის მეთოდები) და კვლევის ტექნიკებს / დიზაინს (აკადემიური წერა).

რჩევები:

- სასურველია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები დამსაქმებლები და გაითვალისწინონ მათი რეკომენდაციები, რაც გაამარტივებს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.
- თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის სათაური შესაბამისი იყოს მის შინაარსთან (დასათაურდეს როგორც „თურქული ენების ისტორია“ და არა „თურქული ენის ისტორია“).
- თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო თემები მიეთითოს ქართულ ენაზე;

- სასურველია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა და გამოყენებული იყოს ქართველი ავტორების უახლესი ნაშრომები.
- თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში უნდა აისახოს სრული აკადემიური პერსონალის სახელფასო ხარჯი.

პროგრამა 7 - "ევროპული ფილოლოგიის (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში სავალდებულო სტატუსით დაემატოს კურსები, რომლებითაც სტუდენტები დაეუფლებიან კვლევითი მიდგომებსა (კვლევის მეთოდები) და კვლევის ტექნიკებს / დიზაინს (აკადემიური წერა).
- ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში დაცული უნდა იყოს ბალანსი ლიტერატურათმცოდნეობით და ენათმეცნიერულ კომპონენტებს შორის, რისთვისაც შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს კურიკულუმში არჩევითი მოდულების გამოყოფა.
- ევროპული ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ფილოლოგიის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.
- ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში სასწარვლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ ინტეგრირდეს სასპეციალიზაციო მოდულების ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ნაწილში, ასევე გადაიხედოს სასწავლო ლიტერატურა და კურსს გაუძღვეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი;
- ევროპული ფილოლოგიის პროგრამისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

რჩევები:

- მიზნების აღწერაში თანაბარი ყურადღება და ადგილი დაეთმოს ევროპული ფილოლოგიის პროგრამით გათვალისწინებულ სამივე ევროპულ (ინგლისურ, გერმანულსა და ფრანგულ) ენას.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შესთავაზოს ევროპული ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტებს საგნების ფართო არჩევანი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსების (ყველა სასპეციალიზაციო მოდულისთვის) ფარგლებში;
- ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში გამდიდრდეს ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;

პროგრამა 8 - "თარგმანმცოდნეობის და კულტურათშორისი კომუნიკაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში ჩართული იყოს აფილირებული პერსონალი, რომლის კომპეტენციებიც უკავშირდება ლიტერატურულსა და დარგობრივ თარგმანს. დაცული უნდა იყოს ბალანსი ინგლისურ-ქართული, გერმანულ-ფრანგული, ფრანგულ-ქართული და რუსულ-ქართული თარგმანის სპეციალისტებს შორის.

- თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამებში გადაიხედოს პროგრამებზე მიღების წინაპირობები ენის დონის ფლობის მიმართულებით და განისაზღვროს B 2 დონე.
- თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირდეს სასწავლო ლიტერატურა სასპეციალიზაციო ენების შესაბამისად, ასევე გადაიხედოს და კურსს გაუძღვეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი;
- თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამაში ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
- რეკომენდირებულია, კომპიუტერულ ტექნოლოგიების და პარალელური კორპუსების ინტეგრირება თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში;
- მნიშვნელოვანია, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამაში სავალდებულო სტატუსით დაემატოს კურსები, რომლებითაც სტუდენტები დაეუფლებიან კვლევითი მიდგომებსა (თარგმანის კვლევის მეთოდები, თარგმანის კრიტიკა) და კვლევის ტექნიკებს / დიზაინს (აკადემიური წერა).
- თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ბალანსი თეორიულ (ზოგად თარგმანმცოდნეობით) და პრაქტიკულ (დარგობრივი და ლიტერატურული თარგმანი შესაბამისი ენებიდან) კომპონენტებს შორის.

რჩევები:

- თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს უცხო ენის ფლობა B2-დონეზე.
- თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამაში გამდიდრდეს ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენების კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;
- თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო გეგმა შესაძლებელია მოდულარული პრინციპით მოდიფიცირდეს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული სასპეციალიზაციო ენის მოდულები). თითოეულ მოდულში ინტეგრირდეს პრაქტიკული სასწავლო კურსები კონკრეტული ენიდან თარგმანში, ასევე დარგობრივ თარგმანთან დაკავშირებული პრაქტიკული სასწავლო კურსები.
- უნივერსიტეტმაგმანთან დაკავშირებული პროგრამისა და თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო კურსებს შორის უნდა დარღვევითი კურსების ფართოადიციონალურ ართოადიციონარჩეული ენობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში;

2 .მეორე საკითხი : შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია English Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№775, 11.12.2012
5		ინგლისური ფილოლოგია

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of English Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ენის დაუფლება 0231
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ეკატერინე ნაცვლიშვილმა და გურანდა ჭელიძემ .

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ჯოჯუა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ შემოწმების პროცესში გამოვლინდა როგორც ძლიერი ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები, თუმცა ძლიერ მხარესთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამაში ინტეგრირებული ის მრავალფეროვანი კურსები, რომლებმაც ექსპერტების ყურადღება მიიპყრო, რაც დიდი არჩევანს აძლევს სტუდენტებს, საინტერესო გახადონ სწავლა. ეს საგნებია: ცხოვრების ძირითადი უნარ-ჩვევები, ფსიქოლოგიური ადაპტაციის უნარ-ჩვევები, ამერიკული ხელოვნების ისტორია, ჯაზის ისტორია და ა.შ. ასევე პროგრამის სტრუქტურაში თვალშისაცემია პრაქტიკულ აპლიკაციაზე მორგებული მრავალფეროვანი კურსები სხვადასხვა დონეების გრადაციით, რომელსაც უძღვებიან მდიდარი, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პედაგოგები. სწორედ ამ შინაარსის და ადამიანური რესურსის სინთეზი, ფიქრობენ , რომ წარმოდგენს გარკვეულწილად პროგრამის უნიკალურობას საქართველოს მასშტაბით მოცემულ დარგში.

მისი თქმით, პირველი რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა შედეგების 1.2 კომპონენტთან მიმართებით შინაარსობრივი და ვერბალური გაფორმება. პროგრამაში ფიქსირდება 10 კონკრეტული შედეგი, თუმცა იკითხება როგორც 35 ზე მეტი აქტივობა. გაზომვადობის თვალსაზრისით მაქსიმალურად ზუსტი გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების კორექტირება და მეტნაკლებად აბსტრაქტული, ორაზროვანი და განმეორებითი აქტივობების კონკრეტული შედეგებიდან ამოღება. ეს უშუალოდ ეხება 1,4,7,9 შედეგებს, რომლებიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ უფრო დააზუსტეს. მაგალითად შედეგი 4,7-ში, ორივე მათგანში იკითხება ციფრულ ტექნოლოგიებთან და პრეზენტაციის ვერბალურად წარმოდგენასთან დაკავშირებული შედეგი. ასევე 7,10 ორივე მათგანში იკითხება კვლევით სამუშაოსთან შესრულებული შედეგი.

შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდება სწავლის შედეგებს და უშუალოდ უკავშირდება N1 სწავლის შედეგის შესაფასებლად შერჩეულ ე.წ. „ჩამკეტ“ კურსებს. მესამე დონის შედეგების რუბრიკის მიხედვით, რომლებიც იქნა შერჩეული ამ შედეგის შესამოწმებლად, პროგრამის სამიზნე C1 დონეზე ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურების მიზნით.

რეკომენდაცია შემდეგნაირად არის ფორმულირებული რეკომენდებულია, N1 სწავლის შედეგის შესაფასებლად შერჩეულ ე.წ. „ჩამკეტ“ (ან შესაბამისი კომპეტენციების განმამტკიცებელ) კურსებად განისაზღვროს ისეთი კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ შედეგის მიღწევას პროგრამის სამიზნე C1 დონეზე. მან ასევე თქვა, რომ რამდენიმე საგანი, კონკრეტულად ეს არის C1 ამ კურსების ჩამონათვალში ფიქსირდება C1 დონის სავალდებულო საგნების სავალდებულო ბლოკი, რომელიც შედის სავალდებულო საგნების ბლოკში, კურსი

არჩეულია სწორედ ამ შედეგის შესაფასებლად, პრაქტიკული დავალება B2 და წერის უნარ-ჩვევები 3. სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით, სტუდენტთა მიღწევების შესაფასებლად, გაურკვეველი იყო, რატომ შეირჩა ეს კურსი, რადგან შედეგების რუკის მიხედვით, სავალდებულო საგნებში ფიქსირდება მეორე კურსი C1.2 და ორივე მათგანი ამტკიცებს კონკრეტულ შედეგს. რაც შეეხება B2-ის პრაქტიკულ გრამატიკას, პირველი შედეგი არის მეტ-ნაკლებად თეორიული ხასიათის, ისეთი აქტივობები იკითხება, როგორც არის: მიმოიხილავს, აცნობიერებს, გაიაზრებს. ექსპერტებისთვის ბუნდოვანი იყო პრაქტიკული გრამატიკის კურსი. ეს კურსი ასევე არის B2 დონის და შესაბამისად პროგრამის სამიზნე კომპეტენციას C1 ფიქრობენ, რომ ვერ შეამოწმებს. აქ ასევე საუბარია ორის მსგავსი სახელის კურსზე, რომელიც არის ასევე არჩევითში და სავალდებულო ბლოკშიც არის და ფიქრობენ რომ ტექნიკური უზუსტობაა.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება 1.4 კომპონენტს. კერძოდ, რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის მოდიფიკაცია კონკრეტული კურსებისთვის სავალდებულო და არჩევითობის სტატუსის გადანაცვლების სახით, ისე, რომ პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში მაქსიმალურად იქნას ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი სწავლის შედეგები უზრუნველყოფილი. პროგრამაში შეინიშნება პრაქტიკული უნარის გაუმჯობესებისათვის საჭირო აუცილებელი კურსების დომინანტურობა, რაც ერთი მხრივ კარგია, მეორე მხრივ კი. საკმაოდ ბევრია. შესაბამისად პრაქტიკული გრამატიკა არის ჩაშლილი სამ დონედ და შეთავაზებულია სავალდებულო ბლოკში ეს არის B1, B1 +, B2, მაშინ როდესაც არჩევით ბლოკში არის ისეთი მნიშვნელოვანი საგნები, როგორცაა ენათმცოდნეობის და ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი. მაშინ, როდესაც სავალდებულო საგნების უშუალოდ ინგლისური ფილოლოგიის დარგისთვის თეორიული საკითხების მიმოხილვაზე ორიენტირებული კურსები არის, თუმცა ეს ორი საგანი, მისი აზრით, მაინც საკვანძოა. პრაქტიკული გრამატიკის შეკვეცილი ფორმით ინტეგრირება, პროგრამაში სავალდებულო ბლოკში იქნება B1, B2 ან B2+ არ დააზარალებს პროგრამას. სხვადასხვა მოსაზრება არსებობს პრაქტიკული გრამატიკის კურსის სწავლებასთან დაკავშირებით. გრამატიკის უნარ-ჩვევა იძენს მნიშვნელობას იმ ოთხი უნარ-ჩვევის გამომუშავების დროს, რაც ენობრივი კომპეტენციის ასოცირებასთან კაშირშია, პროგრამაში ასევე აქვთ აკადემიური წერა 1,2 წერთი უნარ-ჩვევები 1,2,3, რაც იმას ნიშნავს რომ გრამატიკული უნარ-ჩვევების გადაფარვა მაინც ხდება .

შემდეგი რეკომენდაცია გაიცა 1.5 კომპონენტთან დაკავშირებით. რეკომენდებულია, პროგრამის სავალდებულო ლიტერატურის გადახალისება და დაკომპლექტება უახლესი გამოცემებით, ისევე, როგორც დარგის უახლესი კვლევების ამსახველი პუბლიკაციებით. როგორც ექსპერტმა თქვა, ნამდვილად არის პროგრამაში დიდი წილი უახლესი ლიტერატურა . დარგის თანამედროვე ტენდენციებსაც ასახავს. არის ასევე ცალკეული შემთხვევები. რეკომენდაცია უშუალოდ შეეხებოდა ინგლისური ენის ლექსიკოლოგიას და ინგლისური ენის სტილისტიკის კურსებს, რომლებშიც ძველი ლიტერატურა ფიქსირდება. ამიტომ საჭიროა, რომ შეიცვალოს უახლესი ლიტერატურით. შემდეგი რეკომენდაცია შეეხება პროგრამის სრულფასოვნად დაშვების წინაპირობებს. მან ასევე თქვა, რომ პროგრამის სამიზნე ენობრივი კომპეტენცია არის C1 რაც საკმაოდ მაღალია. პროგრამაზე დაიშვება ეროვნული გამოცდების მინიმალური ზღვრის მქონე ნებისმიერი სტუდენტი, გარდა ამისა პროგრამა ღიაა მობილობისთვის. პროგრამაში პირელი დონე ინგლისური ენის კომპეტენცია იწყება B1 -ით, არც არჩევითებში აქვთ შემოთავაზებული A2. მაშინ, როდესაც შესაძლებელია B1 ზე დაბალი დონის სტუდენტი მოვიდეს. ასეთ შემთხვევაში, მას გაუჭირდება ამ დონის დაძლევა. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს ითქვა, რომ გაუჭირდათ დაძლევა ამიტომ ფიქრობენ რომ მნიშვნელოვანია მინიმალური ბარიერის დასახვა. იგივე ეხება უცხოეთში განათლებამიღებულ პირებს, რომლებსთვისაც არ არის დამატებითი წინაპირობა დასახული, გარდა იმისა, რომ მათ ევალებათ ენის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა. რეკომენდაცია ეხება ან B1-ის მითითებას ენის დამადასტურებელ სერტიფიკატში ან შიდა გამოცდას, რასაც უნივერსიტეტი დაეთანხმა. შემდეგი რეკომენდაცია ეხება 5.1 კომპონენტს: რეკომენდებულია, სტუდენტთა და

კურსდამთავრებულთა უფრო დიდი მასშტაბით ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში .

გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა შეკითხვა, რამდენად ავალდებულებს ფილოლოგიის პროგრამა, რომ C1 დონეზე გაიყვანოს სტუდენტი ?

ექსპერტმა უპასუხა, რომ არ არის სავალდებულო B2 დონეც შეიძლება, სურვილის შემთხვევაში ძალიან კარგია რადგან პროგრამა გახლავთ ინგლისური ფილოლოგია და კარგია, თუ იქნება ეს შესაძლებელი. პროგრამაში არის ბევრი ექსტრაკურსული აქტივობა და პრაქტიკული ნაწილი, უბრალოდ ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს დაშვების წინაპირობებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ზაზა რუხაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ რაც შეეხება სილაბუსებს შორის მსგავსებას, დააზუსტა, რომ მსგავსი იდენტურს არ ნიშნავს. ის რაზეც ექსპერტმა ისაუბრა, არის აკადემიური განათლების ფარგლებში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტის სწავლებას, არამედ, ორიენტირებულია ქვეყანაში დარგის განვითარებაზედა როგორც პროგრამული ისე არაპროგრამული ნაწილი, მისი აზრით, კლასიკურ განათლებას ემსახურება.

პროგრამის ხელმძღვანელი, რუსუდან ციციშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და თქვა რომ აკრედიტაციის პროცესი ფაქტობრივად იყო დიალოგი, დარგის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი. ის რეკომენდაციები და რჩევები, რაც გაიცა, ყველა გათვალისწინებული იქნება. აქვე აღნიშნა, რომ როდესაც დასკვნას გაეცნო, იყო საინტერესო მინიშნებები, რომლებმაც საინტერესო იდეა მიაწოდა. მათ აქვთ საკუთარი მოსაზრებები, მაგრამ, მათსა და ექსპერტების მოსაზრებებს შორის პრინციპული განსხვავება არ არის. მან ისაუბრა 1.2 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციებზე, თუ რატომ დაიწყო საუბარი დარგთან დაკავშირებულ ძირითად სწავლის სფეროსთან დაკავშირებულ უნარებზე. მაგალითად, პრეზენტაციას იყენებს ყველა პროგრამა, მაგრამ პრეზენტაცია მათთან ფილოლოგიაში არის მისი დარგობრივი პროფესიული შინაარსიდან გამომდინარე ძირითად დარგთან დაკავშირებული როგორც საბაკალავრო ნაშრომი. პრეზენტაციას იყენებენ როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული კუთხით. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დარგობრივ პრეზენტაციას და ის ყველა კურსში მეტად ვითარდება. საბოლოო პრეზენტაცია კეთდება მაშინ, როცა ხდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ან კიდევ ჯგუფური პროექტის დაცვა. რაც შეეხება დარგობრივ პროფესიულ პრეზენტაციებს, აქ შეიძლება მეცნიერ-ფილოლოგმა არ გამოიყენოს საინფორმაციო ტექნოლოგიები, ეს გადახა მიზეზი იმისა, თუ რატომაც ეთანხმებიან ექსპერტებს. ასევე შეეხო ჩამკვეტ საგანს. თუ ჩამკვეტი საგანი უნდა იყოს უმაღლესი არჩეული კურსებიდან, უმაღლესი კომპეტენციის განმავითარებელი, გრამატიკის შემთხვევაში მოიხსნება ჩამკვეტი საგნები. გრამატიკის შემთხვევაში ჩამკვეტ საგნად რომ ყოფილიყო C1, ისიც გადაფარავდა. მან იგულისხმა საგნები, რომელიც გრამატიკულ კომპეტენციაზეა განსაკუთრებით ორიენტირებული. რაც შეეხება წერის უნარ-ჩვევა 3-ს თქვა, რომ აქაც მოხსნიან "ჩამკვეტს". რაც შეეხება მიზეზს თქვა, რომ ეს არის განსაკუთრებული კურსი თავისი შინაარსიდან გამომდინარე რადგან აქ არის შემოქმედებითი წერა. აქ საუბარია წერის ფორმებზე, ამიტომ ჩათვალეს უნიკალურად და სწორედ ამიტომ არის ჩამკვეტი. ეთანხმება მოსაზრებას, რომ აკადემიური წერა C1 დონის კურსი ფარავს ამას მაგრამ ის ფორმები, რომელიც იქ ვითარდება, არსად არ ხვდებათ შემდეგ .

რაც შეეხება ორ კურსს, ერთი არის C1,2 მეორე არის C1+2, თქვა, რომ საკუთარ დოკუმენტაციაში ეს ვერსად ვერ ნახა. მისი თქმით, C1,2 არის მე-6 სემესტრის კურსი, რაც არის სავალდებულო და რაც შეეხება C1+2 აქ შეიძლება მექანიკური პრობლემა იყოს. ეს არის არჩევითი კურსი მერვე სემესტრში, ეს სემესტრი არის დატვირთული, იწერება საბაკალავრო ნაშრომი და მის

საპირფონოდ შემოიტანეს ჯგუფური პროექტი. სტუდენტების დიდმა ნაწილმა ითხოვა ამ საგნის დამატება, შესაბამისად, დაამატეს არა როგორც სავალდებულო, არამედ როგორც არჩევითი. C1,2 საგნის კოდია ENG 201, ამის კი ENG 200, კიდევ ერთხელ განმეორდა და თქვა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. რაც შეეხება 1.5 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას, თქვა რომ ეს არის ორი თეორიული სავალდებულო საგანი. ის მასალა, რომელიც აქ არის მოცემული, არის კლასიკა და მისი აზრით, მასალა აუცილებლად განახლებას საჭიროებს .

რაც შეეხება 1.4 კომპონენტის რეკომენდაციას, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა კორექცია და სტუდენტების ნაწილი, ისინიც კი, რომლებიც კარგად მეტყველებენ, ცდილობენ რომ განიმტკიცონ ის ცოდნა, რაც აქვთ და მერე გადავიდნენ ამ დონეზე. ამიტომ, ფიქრობენ, გრამატიკა ასწავლონ პირველ და მეორე სემესტრში და გაზარდონ კრედიტების რაოდენობა. ის ასევე დაეთანხმა ამ რეკომენდაციის მეორე ნაწილსაც, მიუხედავად იმისა, რომ ბალანსს არღვევს.

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ქეთევან ჯინჭარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა 2.1 კომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ არ ჰქონდათ სურვილი, სკოლის მოსწავლეებს შორის ადგილი ჰქონოდა გარკვეულ დისკრიმინაციას. მან აღნიშნა კიდევ არგუმენტირებულ პასუხში, რომ არსებობს ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევამ თუ რატომ იღებენ ძირითადად დაბალ ქულას მოსწავლეები ინგლისურში და ძირითადად, საიდან მოსულ აბიტურიენტებს ეხება ეს. . უნივერსიტეტის პოზიციას, რომ არ დააწესონ ზღვარი ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში. პროგრამას აქვს შესაძლებლობა, არამარტო კურიკულუმის, ფარგლებში არამედ კურიკულუმის გარეთაც, არამარტო მათი სტუდენტებისთვის, არამედ სხვა სტუდენტებისთვისაც დახმარების გაწევს. უნივერსიტეტში არსებობს ენის კლუბი სადაც სოციალურად დაუცველ სტუდენტებს და არამარტო მათ, ეხმარებიან ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლებაში. ამას აკეთებენ მაღალი კურსის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად. აქვე დაამატა, რომ ყველაზე მინიმალური ქულით სტუდენტი ჰყავთ 45 ქულით მიღებული. სწორედ ამიტომ, არ უნდათ ზღვრის დაწესება, ვისაც აქვს ატესტატი და გავლი აქვს სკოლაში ინგლისური ენა იგულისხმება რომ ის A2 დონეს აღწევს .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

მაკა კაჭარავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და პირველი შეკითხვა დაუსვა ექსპერტს: ვინაიდან დაწესებულება არ ეთანხმება პროგრამის მიღების წინაპირობებში ენობრივი ბარიერის დაწესებას, პროგრამას აქვს ძალიან მაღალი თამასა აღებული, პროგრამის სწავლების ენა კი არის ქართული, შესაბამისად, დაინტერესდა, აღწევს თუ არა პროგრამა ამ მოცემულობით ენის C1 დონეს.

მან ასევე დაუსვა შეკითხვა დაწესებულებას. მისი თქმით, სწავლის შედეგებშიც და მიზნებშიც წერია, რომ პროგრამის მე-10 შედეგის შესაბამისად, სტუდენტი წერს საბაკალავრო ნაშრომს ან აკეთებს ჯგუფურ კვლევით პროექტს, თუმცა ეს ორივე სასწავლო კურსი მოცემულია 42 კრედიტიან არჩევით ბლოკში სხვა დანარჩენ კურსებთან ერთად და არ ჩანს, რომ ამ სასწავლო კურსებს აქვს სავალდებულო/არჩევითის ტატუსი და ძალიან ბუნდოვანია სტუდენტისთვის, მან აღნიშნა, რომ ეს კომპონენტები უნდა მკაფიოდ გამოიკვეთოს. ის ასევე დაინტერესდა, თუ რატომ იქნა არჩეული ჯგუფური კვლევითი პროექტი და რამდენად ვალიდური იქნება მისი შეფასება, რამდენია თითოეული სტუდენტის ქულობრივი წილი. ასევე დაინტერესდა, თუ რატომ არ მოხდა სავალდებულო ბლოკში ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები, როგორცაა ენათმეცნიერების შესავალი და ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, რომლებიც ფილოლოგიის კომპეტენციის განმავითარებელი სასწავლო კურსებია და დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნაა.

ექსპერტმა უპასუხა შეკითხვას და თქვა, რომ თამასა ძალიან მაღალია ქართულენოვანი პროგრამისთვის, შესაბამისად, სტუდენტს გაუჭირდება მაგრამ, შესაძლებელია უფრო მეტი მუშაობა სტუდენტებთან, მეტი ექსპოზიცია ინგლისურენოვან სტუდენტებთან, თუ

მოხერხდება მეტი ინგლისურენოვანი კურსის დამატება. ამ მოცემულობით რთულად ესახებათ ამ შედეგზე გასვლა.

რუსუდან ციციშვილმა თქვა, რომ მათ თავიდანვე ჰქონდათ რამდენიმე ინგლისურენოვანი კურსი, რომლებიც მოეჩვენათ რომ 1-2 სემესტრისთვის იყო რთული და გადაიტანეს 3-4 სემესტრში. ჩათვლეს რომ ენათმეცნიერების შესავალი ქართულენოვანი და ლიტერატურათმცოდნეობითი შესავალი ქართულენოვანი, უნდა ყოფილიყო მათი პროგრამის ნაწილი. რაც შეეხება სავალდებულო საგნის სტატუსს, თქვა, რომ არ ეწინააღმდეგება ამ რეკომენდაციას. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ორი კურსი ნამდვილად იმსახურებს სავალდებულო საგნების სტატუსს და ეს ასეც იქნება. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ რადგანაც ენობრივი კომპეტენცია მათი სტუდენტების მუდმივად მალდება, ფიქრობდნენ, რომელი აერჩიათ სავალდებულო საგნად: ის ორი საგანი რომელიც პანდემიის დროს დაიწერა, თუ ლინგვისტური თეორიები?

რაც შეეხება შემდეგ შეკითხვას, მან თქვა რომ ეს პროგრამაში არის ნათლად წარმოდგენილი და აღიშნა, რომ კურიკულუმში არაერთგზის არის მინიშნება იმის შესახებ, რომ ეს ორი საგანი არის საპირწონედ.

რაც შეეხება ჯგუფურ პროექტებს, მან თქვა რომ ეს არის საბაკალავრო, მაგრამ პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა კვლევით კომპონენტს. საბაკალავრო ნაშრომი არის სამეცნიერო კვლევითი შრომა. შესაძლოა, ზოგს უნდოდეს საბაკალავრო ნაშრომის დაწერა, რისი შესაძლებლობაც სტუდენტებს აქვთ, მაგრამ ზოგს არ სურს, მიუხედავად იმისა, რომ აქვს მაღალი ენობრივი კომპეტენცია. ამიტომ ფიქრობენ, რომ შემოეტანათ ჯგუფური პროექტი იმიტომ, რომ ეს არის გუნდური შრომა, რომელიც წინა სემესტრში, როგორც არჩევითი კომპონენტი, დაიტესტა და მიიღეს არაჩვეულებრივი შედეგები. რაც შეეხება შეფასებას, თქვა რომ სილაბუსში ყველაფერი გაწერილია. იწერება პროექტი სამ კაციანი ჯგუფის მიერ, წარდგენა კი ხდება პრეზენტაციაზე. იყო შემთხვევა, როდესაც ერთმა ჯგუფმა წარადგინა ბლოგი თავისი თარგმანით, ერთმა წარმოადგინა 90 ფურცლიანი სახელმძღვანელო თინეიჯერებისთვის. ეს ყველაფერი არის მოქმედი პრაქტიკა, დატესტეს და აკეთებენ. რაც შეეხება შედეგებს, შედეგებიც არაჩვეულებრივია. პროექტის პრეზენტაცია არ არის მხოლოდ პროდუქტის აღწერა, პროექტის პრეზენტაცია არის პროცესის ანგარიში. ასევე არის თვითშეფასების ანგარიში რომელშიც ასევე ქულა იწერება.

თამარ სირაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას დადინტერესდა ლიტერატურის მხრივ შედეგზე გამავალი კურსებით, კონკრეტულად: ინგლისის 20-ე საუკუნის ლიტერატურა, მე-20 საუკუნის ამერიკული ლიტერატურა და დიადი წიგნები. წარმოდგენილ სილაბუსებში კი, მე-20 საუკუნის გარდა, ინგლისური და ამერიკული ლიტერატურა არსად წარმოდგენილი არ არის, შედეგში კი წერია, მსოფლიო ლიტერატურული პროცესები და დაინტერესდა, ეს ინსტიტუციის დამოკიდებულებაა, რომ ძველი შუა საუკუნეების 17-ე, მე-18, მე-19 საუკუნეების ლიტერატურას არ მიაქციოს ყურადღება, რამდენად მიზანშეწონილია ეს, გამომდინარე იქიდან, რომ კვალიფიკაცია არის ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი? და იგივე კითხვით მიმართა ექსპერტებს?

ექსპერტმა თქმით, სტრუქტურას როცა აანალიზებდნენ, ეს საკითხი მოხვდათ თვალში, მაგრამ პროგრამა იმდენად საინტერესო სხვა საგნებით არის დახუნძლული, სავალდებულო ბლოკში თითქოს დამაგვირგვინებლად არის წარმოდგენილი ეს კურსები. მისი აზრით, სტუდენტებისთვის ამ ეტაპზე საინტერესოა. ასევე არის გაჯერებული ახლებური ხედვით. აქვე დაამატა რომ ორიენტირი არის პროგრამის პრაქტიკულ აპლიკაციაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ წინაპირობები არის ამ ეტაპზე ის, რომ უნდათ გააძლიერონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა სტრუქტურის თვალსაზრისით.

რუსუდან ციციშვილმა განმარტა, რომ პროგრამაში ამის მოქცევა ძალიან უნდოდათ და გაიხსენა ნიკო ყიასაშვილის სიტყვები, რომ არიან ავტორები, რომელთა სახელებიც უნდა იცოდეს და ასევე არიან ავტორები, რომელთა იგნორირებაც არ შეიძლება. მისი თქმით, „დიადი წიგნები“ გამიზნულია არა მარტო იმისთვის, რომ საკუთარ სტუდენტებს ინფორმაცია მიაწოდონ

სხვადასხვა მიმართულებებსა და ავტორებზე, არამედ, ეს არის ის ოთხი წიგნი რომელიც ორიათასწლოვან ლიტერატურას აანალიზებს და პროდუქტზე არის მეტად ორიენტირებული, ვიდრე პროცესზე. იმ ცოდნას რომელსა მისცემდა ლიტერატურის ისტორია ამ განხრით, ის საგნები რაც აქვთ, სრულად აწესრიგებს .

თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ ზოგადად ლიტერატურაც და ენაც თანაბრად უნდა ისწავლებოდეს. როდესაც ინგლისური და ამერიკული ლიტერატურა დეტალურად არის წარმოდგენილი, იქ სტუდენტებს ინგლისური ლიტერატურის ორიგინალში გაცნობაც შეუძლიათ, რაც ფაქტობრივად არ შეუძლიათ სხვა ენებში. ამიტომ, ეს უფრო დაეხმარებოდა ენის გაზრდაში.

რუსუდან ციციშვილმა თქვა, რომ მათთან ყველაფერს ორიგინალში კითხულობენ.

თამარ სირაძემ დაამატა, რომ ლიტერატურა ძირითადად ერთ ან ორ კურსში არის ინგლისურენივანი.

რაზეც რუსუდან ციციშვილმა უპასუხა, რომ ამ ყველაფერს ინგლისურად კითხულობენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:52 სთ

დასრულების დრო: 18:38 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და 2.1 ქვეკომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- პროგრამის შედეგების მიღწევის მაქსიმალურად ზუსტი გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია პროგრამის შედეგების კორექტირება და აბსტრაქტული, ორაზროვანი და განმეორებითი აქტივობების კონკრეტული შედეგებიდან (N1, N4, N6, N7, N9) ამოღება.
- განისაზღვროს მიღების წინაპირობის ადეკვატური სწავლის შედეგი ინგლისურ ენაში.
- პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს მოდიფიკაციას კონკრეტული კურსებისთვის სავალდებულო და არჩევითობის სტატუსის გადანაცვლების სახით, ისე რომ პროგრამის სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში მაქსიმალურად იქნას ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი სწავლის შედეგები უზრუნველყოფილი; კერძოდ, ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკის კომპეტენციის განმავითარებელი კურსები „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B1“, „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B1+“ და „ინგლისური ენის პრაქტიკული გრამატიკა B2“ შეკვეცილი სახის ინტეგრირდეს პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკში;
- არჩევითი სასწავლო კურსებს „ენათმეცნიერების შესავალი“ და „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“ შეეცვალოს სტატუსი და გახდეს სავალდებულო.
- რეკომენდებულია, პროგრამის სავალდებულო ლიტერატურის გადახალისება და მაქსიმალურად დაკომპლექტება უახლესი გამოცემებით, ისევე, როგორც დარგის უახლესი კვლევების ამსახველი პუბლიკაციებით.
- რეკომენდებულია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა უფრო დიდი მასშტაბით ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში;

რჩევები:

- სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით, გააქტიურდეს სტუდენტებთან მუშაობა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კუთხით. კერძოდ, სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამების მოძიება და მეტი სტუდენტის ჩართვა მათში.
- სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი იყოს მეტად ინფორმაციული სპეციალობით დასაქმების სფეროებისა, და ზოგადად პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების ნაწილში ასახავდეს მონაცემთა დეტალურ ანალიზს.
- სასურველია, პროგრამის სსწავლო გეგმა გამარტივდეს ტექნიკურად და წინაპირობებში კურსებისთვის მინიჭებულ კოდებთან ერთად მიეთითოს კონკრეტული კურსების სახელწოდება სტუდენტების მიერ მის მარტივად აღსაქმელად.
- სასურველია, კურსების „ტექსტის ინტერპრეტაცია 1 (პროზა/მოთხრობა) ” და „ტექსტის ინტერპრეტაცია 2 (დრამა და პოეზია)“ სახელწოდება ჩანაცვლდეს შინაარსის ადეკვატური სახელწოდებით.
- სასურველია დამსაქმებლის მეტად ჩართულობა უშუალოდ პროგრამის შეფასების პროცესში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- სასურველია სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან.

3.მესამე საკითხი : სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" და "აფხაზური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია

		Georgian Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 ნოემბრის N 747 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქართული ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Georgian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა/Literature and Linguistics 0232 Languages
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპ. #2, პოლიტკოვსკაიას 26 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აფხაზური ფილოლოგია Abkhazian Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 ნოემბრის N 740 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	აფხაზური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	აფხაზური ფილოლოგიის ბაკალავრი

		Bachelor of Abkhasian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა/Literature and Linguistics 0232 Languages
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპ. #2, პოლიტკოვსკაიას 26 თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
 არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
 არა

თვითაცილება განაცხადა მაკა კაჭარავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო პოპიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ კლასტერში გაერთიანებულია ქართული ფილოლოგიის და აფხაზური ფილოლოგიის პროგრამები. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ისინი ასე ჩამოყალიბდა: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს პლაგიატის ამომცნობი პროგრამით. ეს რეკომენდაცია გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს პლაგიატის ამომცნობი პროგრამით. აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის “ქართველოლოგიის შესავალი”, შინაარსი გადამუშავდეს და შეივსოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან.

უნივერსიტეტმა მიუთითა, რომ : სასწავლო კურსი „ქართველოლოგიის შესავალი“ ისწავლება მე-2 სემესტრში და მისი მიზანია სტუდენტს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა ქართველთა ენობრივ, ეთნიკურ და კულტურულ ასპექტებთან დაკავშირებით. წარმოდგენილი სილაბუსი უზრუნველყოფს ამ საკითხებს. ექსპერტების აზრით, სასწავლო კურსის მიზნები მართლაც ფორმულირებულია დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. კერძოდ, მიზნებში აღნიშნულია:

„სასწავლო კურსის მიზანია... ქართველური ენების, ქართული დამწერლობისა და ქართველთა წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებების, თვალსაზრისებისა და თეორიების გაცნობა - გაანალიზება“. აღნიშნული საკითხები კი, კურსის შინაარსში ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. კერძოდ, სრულად არ გვხვდება ქართველური ენების შესახებ საკითხი ან თემა, რაც პროგრამის მიზნებშია ასახული.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების: “დიადი სახელები” და “დიადი წიგნები”, ურთიერთმსგავსი თემები გადამუშავდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული თემატური და შინაარსობრივი მსგავსებანი. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ ამ სასწავლო კურსებს აქვთ სხვადასხვა სტატუსი. ერთი სავალდებულოა, ხოლო მეორე - არჩევითი. ტექსტებიც არ მეორდება. ექსპერტების აზრით, უნივერსიტეტის არგუმენტები სრულიად გასაგებია, თუმცა, როგორც ექსპერტთა დასკვნაშია აღნიშნული, ამ ორ საგანში ერთმანეთის მსგავსია IV, V, VI თემები, ავტორები, მაგრამ განსხვავდება ავტორთა თხზულებები. შესაბამისად, რეკომენდაცია გადატანილია რჩევაში.

რეკომენდებულია, გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგთან. ამ კურსს ასევე ეთმობა კიდევ ორი რეკომენდაცია , გამდიდრდეს შესაბამისი კურსებით და თემატიკა შესაბამისობაში მოვიდეს განსახილველ საკითხებთან. უნივერსიტეტი იზიარებს ამ რეკომენდაციებს ნაწილობრივ. კერძოდ, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, აღმოიფხვრება ტექნიკური უზუსტობები და შეცდომები და შეივსება სასწავლო კურსი შესაბამისი თემატიკით. ასევე, პროგრამას დაემატება არჩევითი საგანიც .

მოხდეს „ქართული დიალექტოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში ქართული ენის ყველა დიალექტის სწავლების ასახვა, რათა სტუდენტმა მიიღოს ქართული ენის დიალექტების შესახებ შესაბამისი ცოდნა, რომელსაც სასწავლო კურსის მიზანიც ითვალისწინებს. რეკომენდაცია გაზიარებულია უნივერსიტეტის მიერ. აღინიშნა, რომ სამი დიალექტი იყო გამორჩენილი, თუმცა ჩამონათვალში იყო ამ დიალექტების შესასწავლი ნაშრომები მითითებული.

რეკომენდებულად მიგვაჩნია, გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილი იქნას მინიმუმამდე, ან გაუქმდეს. უნივერსიტეტის აზრით, აღნიშნული საკითხი შემუშავდა 2020-21 წლებში რეკომენდაციების საფუძველზე. ექსპერტების აზრით, რასაკვირველია, ხელმძღვანელი დიდ როლს ასრულებს საბაკალავრო ნაშრომის დამუშავების დროს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ნაშრომი შეფასდეს

დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ხელმძღვანელის შეფასება.

რეკომენდებულია, რომ აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, რომლებიც ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის განახლებულ საბაკალავრო პროგრამებზე ახალ სასწავლო კურსებს უძღვებიან, გააძლიერონ სამეცნიერო კვლევები ამ მიმართულებებით და შექმნან სამეცნიერო პუბლიკაციები, რათა დააგროვონ სასწავლო კურსების სწავლებისთვის საჭირო გამოცდილება. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ პროგრამების განხორციელებაში ჩართულია აკადემიური აფილირებული მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი, რასაც ექსპერტები ნამდვილად ეთანხმებიან. ზოგიერთ შემთხვევაში, ხდება გამოწვევის და სწორედ ამის გამო გაიცა ეს რეკომენდაცია. მან ასევე დაამატა, რომ დარგობრივი მახასიათებელი ქართულ ფილოლოგიაში ახალი იყო, 2021 წელს შევიდა ძალაში ამიტომ ყველა უნივერსიტეტისთვის ეს არის გამოწვევა, შესაბამისად, გარკვეული სასწავლო კურსები თავიდან შემუშავდა.

რეკომენდებულია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმის რუკისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დოკუმენტების მოდიფიცირება, რათა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გახდეს უფრო მოქნილი და ეფექტიანი.

რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით, რაც მოიცავს წარმოდგენილი რუკებისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დაზუსტება-კორექტირებას. უნივერსიტეტი არ იზიარებს რეკომენდაციებს და მიაჩნია, რომ ისინი ატარებს რჩევის ხასიათს. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების მოქნილი მექანიზმი, სადაც თითოეული სწავლის შედეგისათვის შერჩეული იქნება რამდენიმე, შესაძლოა, სამი ან ოთხი ძირითადი სასწავლო კურსი, რომელიც განმამტკიცებელ დონეზე გადის და ამ კურსებიდან შერჩეულ იქნეს ერთი ან მაქსიმუმ, ორი შესაძლებელი აქტივობა. რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები, ვორქშოფები, სადაც აღნიშნული ტიპის დოკუმენტებზე მუშაობის პრინციპები იქნება განმარტებული და გაუმჯობესდება პრაქტიკა.

რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას რეკომენდებულია განხორციელდეს კითხვარების გადახედვა, კითხვათა ფორმულირებისა და შინაარსის დაზუსტება. უნივერსიტეტი არ იზიარებს რეკომენდაციას და მიაჩნია, რომ რეკომენდაცია ატარებს რჩევის ხასიათს, რადგან „საუბარია მცირე სტილისტურ და ენობრივ ჩასწორებაზე სტუდენტის კითხვარის შაბლონში, სადაც ფიგურირებს, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ფრაზა - თუ არა. მიუხედავად ამ ფრაზისა, მას ცუდი გავლენა არ მოუხდენია გამოკითხვის შედეგებზე გამოკითხვის არც ერთ ეტაპზე, არ გამოუწვევია დაბნეულობა, ამ გარემოებას არ შეუშლია ხელი გამოკითხვის შედეგების ანალიზის, განზოგადების და სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების პროცესში“. ასევე, უნივერსიტეტი აცნობიერებს კითხვარის სხვა კომპონენტის უზუსტობასაც. ექსპერტთა აზრით, რადგან უნივერსიტეტისათვის გასაგებია და მისაღებია გამოვლენილი საკითხის შინაარსი, რეკომენდაცია გადატანილია რჩევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომეო გალდავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უსდ-მ გაიზიარა გარკვეული რეკომენდაციები, მათ შორის პლაგიატთან დაკავშირებით.

მან თქვა, რომ საბაკალავრო ნაშრომის 100 ქულიანი შეფასებიდან, 30 ქულა ეკუთვნის ხელმძღვანელს. ეს ცვლილება შეიტანეს 2021-22 სასწავლო წლებში, მაშინ, როდესაც ჰქონდათ ამ მიმართულებით რეკომენდაციები დეტალურად გაწერილიყო. შესაბამისად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე,

აღნიშნული პროგრამები ამ სტრუქტურით გატარდა. მიაჩნიათ, რომ ეს დიდი წილი არ არის და არსებით გავლენას ვერ მოახდენს კურსზე. ხელმძღვანელი აფასებს ისეთ კომპონენტებს, რაც არის წყაროებთან მუშაობის უნარ-ჩვევები, ნაშრომის გარკვევა და ა.შ. ამიტომაც ფიქრობენ, რომ ეს 30 ქულა გარდამტეხ მნიშვნელობას არ იქონიებს. მაშინ, როდესაც ბოლო 40 ქულიანი შეფასება არის კომისიური. რაც შეეხება რუკას, თქვა რომ პერსონალი ჩართული იყო სრულად რამდენიმე თვის განმავლობაში, შესაბამისად ის რომ მეტი შეხვედრა უნდა ჩატარდეს, მიაჩნიათ, რომ რჩევითი ხასიათისაა. აქვე დაამატა, რომ პირველი მიახლოება ეს რუკა საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით, რაც ბუნებრივი პროცესია და მომავალშიც იმუშავებენ ამ ყველაფერზე.

რაც შეეხება რეკომენდაციას ფოლკლორთან დაკავშირებით, ნაწილობრივ გაიზიარეს და მიიჩნიეს, რომ სამი რეკომენდაციაა გასაერთიანებელი ერთ რეკომენდაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჯანიძე მიესამა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა. პირველი შეკითხვა ეხება, რეკომენდაციას, რომელიც გაიცა ქართველოლოგიის შესავალ კურსთან დაკავშირებით, სადაც ექსპერტები ითხოვენ, რომ კურსი შესაბამისობაში მოვიდეს ქართული ფილოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან და ითხოვა ამ საკითხის დაზუსტება თუ რას გულისხმობდნენ ექსპერტები?

მეორე შეკითხვა ეხება ხელმძღვანელის შეფასების ხვედრითი წილის შემცირებას და დასვა შეკითხვა, რა პრობლემატიკას წააწყდნენ პროგრამის შეფასებისას რომ გასცეს ამ ტიპის რეკომენდაცია?

მესამე შეკითხვა ეხება აკადემიური პერსონალი კვლევებს. მისი თქმით, მან გადახედა ინფორმაციას აკადემიური პერსონალის შესახებ, ასევე გადახედა დასკვნასაც, სადაც აღნიშნულია რომ ძირითადი პრობლემა იყო ის, რომ საგანს კითხულობდა ისეთი პერსონალი, რომელსაც არ ჰქონდა ფოლკლორის მიხედვით შესაბამისი კვლევები და დაინტერესდა, ეს რეკომენდაცია კონკრეტულად ამ აკადემიური პერსონალის გამო გაიცა თუ სხვა კურსებზეც წააწყდნენ მსგავს პრობლემას?

ექსპერტმა პირველ კითხვასთან დაკავშირებით, თქვა, რომ დარგობრივი მახასიათებელი სასწავლო კურსების დონეზე არ განსაზღვრავს საკითხების სწავლებას, მაგრამ ქართველოლოგიის შესავალში საგნის მიზანში არის ეს საკითხი ასახული და არ არის თემატიკაში ასახული. ამიტომაც ჩათვალეს საჭირო, რომ შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივ მახასიათებელთან, ასევე სასწავლო კურსის მიზანშიც და შევიდეს ის საკითხები რომლებიც არ არის ასახული თემატიკაში სასწავლო კურსში.

რაც შეეხება მესამე შეკითხვას, მისი თქმით ერთი შემთხვევე შეხვდათ, როდესაც კვლევები არ იყო, დააფიქსირეს არგუმენტირებული პოზიციის პასუხში. ზოგადადაც შეინიშნა, რომ გასაახლებელი იყო აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ბიოგრაფია. სწორედ ამიტომ გაიცა რეკომენდაცია, რადგანაც ეს არის სავალდებულო კურსი ამ პროგრამებისთვის და მნიშვნელოვანია, კვლევებიც იყოს წარმოდგენილი პედაგოგის მიერ.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საკითხს, თქვა, რომ ის შემთხვევა აქვთ როდესაც ხელმძღვანელი აფასებს საბაკალავრო ნაშრომს 30 ქულით, ამდენივე ქულით აფასებს რეცენზენტი და 40 ქულით აფასებს კომისია. როდესაც ექსპერტთა ჯგუფი მსჯელობდა ამ საკითხზე, იმას რომ ხელმძღვანელი ძალიან დიდ როლს ასრულებს ნაშრომის შექმნაში, მითუმეტეს საბაკალავრო დონეზე, იმიტომ, რომ არ მოხდეს საკუთარი შრომის შეფასება, დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ იყოს შეფასებული საბაკალავრო ნაშრომი და შემცირდეს შეფასების ქულობრივი წილი. სწორედ ამით იყო განპირობებული ეს რეკომენდაცია.

ირინა ლობჯანიძემ დამაზუსტებელი შეკითხვა დასვა დაწესებულებასთან აფხაზური ენის ფილოლოგიის პროგრამასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი რჩევა ეხება რომ სასურველია, საბაკალავრო პროგრამაში შემუშავებული იყოს არჩევითი სასწავლო კურსები: აფხაზური ენა

B1 და B1.2. თვითონ ამბობენ, რომ A2-ზე ხერხდება აფხაზური ენის შესწავლა და დასვა შეკითხვა, ამ რჩევის გათვალისწინება და ამ დონის მიღწევა რამდენად შესაძლებელია?

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ აფხაზური ენის საბოლოო შედეგად მათ განსაზღვრეს A2 დონე, ვინაიდან სტუდენტი ამ ენის შესწავლას იწყებს 0 დან. ეს ენა მსოფლიოს ურთულესი ენაა. მე-7 სემესტრში პრაქტიკულად შეუძლებელია მეტის მიღწევა. შესაძლებელია, არჩევითი საგანი დაამატონ, მაგრამ შედეგი რთული წარმოსადგენია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:02 სთ

დასრულების დრო: 19:19 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და 1.3, 2.4, და 4.1 ქვეკომპონენტები ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", რამაც გამოიწვია მხოლოდ პირველი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აფხაზური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აფხაზური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აფხაზური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და 1.3, 2.4, და 4.1 ქვეკომპონენტები ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განსაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", რამაც გამოიწვია მხოლოდ პირველი სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები: კლასტერის საერთო რეკომენდაციები

- რეკომენდებულია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი შემოწმდეს პლაგიატის ამომცნობი პროგრამით.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის “ქართველოლოგიის შესავალი”, შინაარსი გადამუშავდეს და შეივსოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით.
- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდეს სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით, რაც მოიცავს წარმოდგენილი რუკებისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დაზუსტება-კორექტირებას.

კლასტერის საერთო რჩევები

- სასურველია, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, კლასტერში გაერთიანებული ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ქართველური ენების ნაწილში გაწერილი იყოს ერთიდაიმავე დარგობრივი ტერმინოლოგიით.
- სასურველია, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, კლასტერში შემავალი პროგრამების: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგები ქართველური ენების ნაწილში გაწერილი იყოს ერთიდაიმავე დარგობრივი ტერმინოლოგიით.
- რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმის რუკისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დოკუმენტების მოდიფიცირება, რათა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გახდეს უფრო მოქნილი და ეფექტიანი.

- სასურველია, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განსაზღვრული საგნის: “აკადემიური წერა”, სწავლება მოხდეს ელექტრონული პლატფორმის ჩართულობით, რომლითაც შესაძლებელი იქნება ნაშრომის შემოწმება პლაგიატის ამომცნობი სისტემით.
- სასურველია, სასწავლო კურსების: “დიადი სახელები” და “დიადი წიგნები”. ურთიერთმსგავსი თემები გადამუშვდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული თემატური და შინაარსობრივი მსგავსებანი.
- რეკომენდებულად მიგვაჩნია, გაიზარდოს რეცენზენტის ქულობრივი წილი შეფასებაში, ხოლო ხელმძღვანელის ქულობრივი წილი დაყვანილი იქნას მინიმუმამდე, ან გაუქმდეს.
- სასურველია, გაიზარდოს ინფორმირებულობა უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ;
- სასურველია, უნივერსიტეტი მეტად უწყობდეს ხელს სტუდენტების კარიერულ წინსვლას და სთავაზობდეს მეტ დასაქმებისა თუ პრაქტიკის შესაძლებლობას პროფესიის მიხედვით.
- რეკომენდებულია, რომ აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, რომლებიც ქართული ფილოლოგიისა და აფხაზური ფილოლოგიის განახლებულ საბაკალავრო პროგრამებზე ახალ სასწავლო კურსებს უძღვებიან, გააძლიერონ სამეცნიერო კვლევები ამ მიმართულებებით და შექმნან სამეცნიერო პუბლიკაციები, რათა დააგროვონ სასწავლო კურსების სწავლებისთვის საჭირო გამოცდილება.
- სასურველია, რომ გადაიხედოს პერსონალთა პირადი საქმეები და განახლდეს ბოლო პერიოდის მონაცემებით.
- სასურველია, გაიზარდოს აფელირებული აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება.
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს გამოკითხვისა და კვლევის შედეგები. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად ეცნობოდნენ ისეთ დოკუმენტს როგორცაა შრომის ბაზრის კვლევა, რათა პროგრამაში დროულად ასახონ თანამედორვე შრომის ბაზრის მოთხოვნები (მაგ., ციფრული ჰუმანიტარიის და კომპიუტერული წიგნიერების ელემენტებით პროგრამების გაძლიერება).
- სასურველია, სამომავლოდ პროგრამების განვითარებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მაქსიმალურად მიახლოების მიზნით განხორციელდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სიღრმისეული კვლევა. სასურველია განხორციელდეს კითხვარების გადახედვა, კითხვათა ფორმულირებისა და შინაარსის დაზუსტება.

პროგრამა 1 - "ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები:

- გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა „ქართული ფოლკლორის“ სასწავლო კურსში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგთან.
- მოხდეს „ქართული დიალექტოლოგიის“ სასწავლო კურსის შინაარსში ქართული ენის ყველა დიალექტის სწავლების ასახვა, რათა სტუდენტმა მიიღოს ქართული ენის დიალექტების შესახებ შესაბამისი ცოდნა, რომელსაც სასწავლო კურსის მიზანიც ითვალისწინებს.
- გადამუშავდეს სალექციო მასალა „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ისე, რომ მასში შესაბამისი ტექსტებით ქართული ზეპირსიტყვიერების ყველა ძირითადი ჟანრი იყოს წარმოდგენილი.

- „ქართული ფოლკლორის“ სილაბუსში ლექციაზე ლექტორის მიერ წაკითხულ თემატიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს სამუშაო ჯგუფში გამოკითხული და განხილული საკითხები.

რჩევები:

- სასურველია, რომ „ქართული ფოლკლორის“ სილაბუსში არჩევით ლიტერატურას დაემატოს რჩეული ნაწარმოებები ხალხური ტექსტების შემდეგი გამოცემებიდან: ამირანიანი - ქართული ხალხური პროზა, II, თსუ გამომცემლობა (2019), ხალხური სიტყვიერება ტ. IV; ქართული ხალხური სიტყვიერების (მეგრული ტექსტები, შემდგ. კ. დანელია, აპ. ცანავა, 1991) პირველი და მეორე ტომი; აკაკი შანიძის ხევისურული პოეზია (2009); ასევე რჩეული პოეტური ტექსტები ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეულიდან.
- სასურველია, ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში სრულფასოვნად აისახოს სასწავლო კურსში/კურსებში.

პროგრამა 2 - "აფხაზური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები:

- გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა „აფხაზური ფოლკლორის“ სასწავლო კურსში, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგთან.

რჩევები:

- სასურველია, აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემუშავებული იყოს არჩევითი სასწავლო კურსები აფხაზური ენა B1.1 B1.2
- სასურველია, „აფხაზური ფოლკლორის“ სილაბუსში შესასწავლ თემებთან მიმართებით უფრო ფართო მოცულობით იყოს წარმოდგენილი არჩევითი ლიტერატურა, კერძოდ, აფხაზური ხალხური ტექსტების შემდეგი გამოცემები: ამბავი ნართებისა - ახაზრხახრპს(19802007)არსსმრრახაზრხახრპპ

4.მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" "გერმანული ენისა და ლიტერატურის", "ფრანგული ენისა და ლიტერატურის", "რუსული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო და "ინგლისური ენისა და ლიტერატურის", "გერმანული ენისა და ლიტერატურის", "ფრანგული ენისა და ლიტერატურის" და "რუსული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ენა და ლიტერატურა (English language and literature)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.09.2011 №42
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინგლისური ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in English Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გერმანული ენა და ლიტერატურა (German language and literature)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.09.2011 №38
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გერმანული ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული ეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in German Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფრანგული ენა და ლიტერატურა (French language and literature)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		23.09.2011

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№45
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფრანგული ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფრანგულ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in French Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რუსული ენა და ლიტერატურა (Russian language and literature)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.09.2011 №43
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	რუსული ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in Russian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ენა და ლიტერატურა English language and literature
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012 №89
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინგლისური ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში Master of Arts in English Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გერმანული ენა და ლიტერატურა German language and literature)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012 №90
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გერმანული ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი გერმანულ ფილოლოგიაში Master of Arts in German Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფრანგული ენა და ლიტერატურა French language and literature
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012 №91
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფრანგული ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგიაში

		Master of Arts in French Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რუსული ენა და ლიტერატურა Russian language and literature
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19.04.2012 №92
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	რუსული ენა და ლიტერატურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რუსულ ფილოლოგიაში Master of Arts in Russian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კორპუსი №1, თამარ მეფის ქ., №59; ქ. ქუთაისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მარიამ ბანძელაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი რვავე პროგრამის შემთხვევაში მეტწილად შესაბამისია, ხოლო დანარჩენი სტანდარტები ყველა არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. სულ გაიცა 6 კლასტერული რეკომენდაცია. პირველი შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმს. რეკომენდაცია იყო, რომ რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმების გადახედვა. მნიშვნელოვანია, კრიტიკულად იყოს გააზრებული და დალაგებული თითოეული შედეგის შეფასების კომპონენტი, ასევე, სამიზნე ნიშნული. ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულება არ დაეთანხმა და წარმოადგინა საინტერესო პოზიცია. გარკვეულწილად, მიჰყვებიან მოსაზრებას და აქვთ ამისი რამდენიმე მაგალითი დასკვნაში, სადაც შესაძლებელია ესა თუ ის სწავლის შედეგი მეტად კომპლექსურად შეფასდეს და არ შემოიფარგლოს ერთი კომპონენტით .

მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა თვითშეფასების ჯგუფს და ამ პროცესში ჩართული პირების მეტ გათვითცნობიერებას. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით არ არის გაზიარებული დაწესებულების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ატარებს გარკვეულ შეხვედრებს, საჭიროა მეტად ამაღლდეს ცნობიერება ჩართული პერსონალის პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ასპექტთან მიმართებით. მათ შორის გამოყოფდა პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმზე ცოდნის ამაღლებას.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება სამაგისტრო ნაშრომებს. ეს არის ზოგადად პროგრამის სწავლის შედეგში სამაგისტრო ნაშრომში კრიტერიუმების უკეთესად გადააზრება. ხოლო მეორე მხრივ, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სილაბუსში არის შეფასების კომპონენტების კრიტიკულად გადააზრება. აქ იგულისხმება, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს კვლევით კომპონენტზე. დაბალი ქულით არის წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სილაბუსში.

შემდეგი რეკომენდაცია იყო: რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსის, სპეციფიკის და კომპლექსურობის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების დივერსიფიკაცია, ასევე, რეკომენდებულია სილაბუსებში დავალებების სპეციფიკის განსაზღვრა, რასაც დაწესებულება ასევე დაეთანხმა და გაზიარებულია კიდევ.

რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას, მნიშვნელოვანია, თუ დაწესებულება პროგრამით დაინტერესებულ გარე აქტორებთან კვლევას წარმართავდა არამარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რათა ნათლად წარმოჩინდეს პროგრამის სწავლის შედეგების კრიტიკული შეფასება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ პირდაპირ ასახვას ჰპოვებს პროგრამის განვითარებასთან და შემდგომ უკვე განხორცილებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

თეა კორძაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას . პირველი რეკომენდაციის პასუხად თქვა, რომ უნივერსიტეტში აქვთ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, ამ გეგმის მიხედვით პროგრამის თითოეულ შედეგთან მიმართებაში განსაზღვრულია შეფასების პერიოდი და სასწავლო კურსები, სადაც ხდება პროგრამის შედეგების განმტკიცება. ასევე განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები და თითოეული კომპონენტისთვის სამიზნე ნიშნულები. სამუშაო ჯგუფის მიერ სამიზნე ნიშნულები განისაზღვრა 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წლებში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე. გეგმის მიხედვით პროგრამის შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარებისა და შედეგებზე გასვლის მაჩვენებლის შეფასების განხორციელების შემდეგ, ჩვენ შევძლებთ შევაფასოთ თითოეული პროგრამისთვის შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა საჭიროებს თუ არა გადახედვას და მოხდება მისი მოდიფიცირება. ასევე აქ მაგალითი იყო მოყვანილი თუ რატომ მოხდა ამ რეკომენდაციის გაცემა კლასტერზე .

ნინო ნიჟარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ შეეცადნენ პროგრამებში ჩაესვათ კურსი სადაც ხდება გარკვეული უნარების და ცოდნის თავმოყრა იმიტომ, რომ ამ კურსებში გარკვეული კომპონენტებში შეეფასებინათ კონკრეტული სწავლის შედეგი. მისი თქმით, ნებისმიერ კურსში შესაძლებელია სტუდენტის თეორიული ცოდნა აღემატებოდეს ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს. მართალია, ამ კონკრეტული კურსის შეფასებაში ორივე იქნება გათვალისწინებული, თუმცა პროგრამის ცოდნაზე ორიენტირებული შედეგის შეფასებისას გამოყენებული იქნება მხოლოდ ის დავალება ან აქტივობა, რომელიც ცოდნას აფასებს. სწორედ ამაში მდგომარეობდა მათი ლოგიკა. მან ასევე თქვა, რომ პროგრამამ პილოტირება გაიარა შარშან და პილოტირების პროცესში ამ სამიზნე ნიშნულების და სწავლის შედეგების შეფასებამ ძალიან მაღალი შეფასება დაიმსახურა საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან და ჩათვალეს რომ ამ თვალსაზრისით ეს გამართლებული იქნებოდა. მან ასევე დაამატა, რომ ეს არის წინასწარი და ჯერ არ განხორციელებულა, რაც რა საკვირველია მოითხოვს დაზუსტებას. სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია სტატისტიკიდან და აწიეს სწავლის შედეგი იმ იმედით რომ ამ პროგრამით უკეთეს შედეგზე გავლენ ვიდრე ძველი პროგრამით გადიოდნენ. შესაბამისად, სწავლის შედეგების გადახედვა მოხდება მაშინ, როდესაც პირველად მიიღებენ სტუდენტებს ამ პროგრამაზე.

თეა კორძაძემ ისაუბრა ასევე მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით რომელიც ეხებოდა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს და ზოგადად, რამდენად იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. თქვა , რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია სრულად აკრედიტაციის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად ახდენს პროგრამის განახლებას, მოდიფიკაციას, მუშაობენ პროგრამის მიზნების დახვეწაზე, ამის შემდეგ ხდება პროგრამის მიზნების და შედეგების გადახედვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდანაც, მაგრამ იმის შემდეგ, რაც იქმნება თვითშეფასების ჯგუფი მისი თითოეული წევრი ასევე განმახორციელებელ პერსონალთან ერთად კრიტიკულად იაზრებს და

ამუშავებს პროგრამის მიზნებს და შედეგებს. როგორც მან თქვა, ამ კლასტერში გაერთიანებულია 8 პროგრამა და სულ 37 პიროვნება იყო ჩართული თვითშეფასებაში. ვიზიტის დროს მხოლოდ 8 ადამიანი ესწრებოდა, სადაც ჩართული იყო სტუდენტიც, კურსდამთავრებულიც, დამსაქმებელიც, ამიტომ თვლიან, რომ კონკრეტულად რვავე პროგრამის შედეგი და სამიზნე ნიშნულები ყველა თვითშეფასების წევრს, რომლებიც ვიზიტზე იმყოფებოდნენ, შეიძლება არ სცოდნოდათ, მაგრამ თვითშეფასების ჯგუფის წევრები რომლებიც აკადემიურ პერსონალთან ერთად, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ჩართულნი არიან თვითშეფასებაში, იცნობენ ამ შედეგებს.

მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგის შეფასების გამოყენებას. მისი თქმით, უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი, რომლის მიხედვითაც, ნაშრომი ფასდება ერთჯერადად 100 ქულით.

როგორც მან აღნიშნა, ნაწილობრივ ეთანხმებიან რეკომენდაციებს. მოხდება ამ შეფასების წესის გადახედვა, თუმცა ამჟამად უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომი არსებული წესის მიხედვით ფასდება, რასაც მომავალში გაითვალისწინებენ და კარგი იქნება, თუ ამას ექნება რჩევის სახე.

გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან იყო საუბარი, ნაშრომის შეფასების რუბრიკისა და ხვედრითის წილის შესახებ, კვლევითი კომპონენტის შეფასებასთან დაკავშირებით, რომ მეტი ქულა ეთმობოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას.

ექსპერტმა დააზუსტა და თქვა, რომ აქ ორი საკითხი იყო ყურადსაღები. ერთი იყო სწავლის შედეგის შეფასება ცალკე, როგორც სამაგისტრო ნაშრომის და საუბარი იყო რომ მხოლოდ ნაშრომის დაცვა არ განაპირობებდეს შედეგზე გასვლას. მეორე საკითხი იყო ის, რომ თვითონ სილაბუსში თეორიული კვლევის ნაწილს ჰქონდა მცირე ხვედრითი წილი და 5 ქულით ფასდებოდა მაშინ, როდესაც აქტუალობა ფასდებოდა 10 ქულით.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა 1-ელ რეკომენდაციაზე სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, სადაც წარმოდგენილია მაგალითები როგორც ინგლისურიდან, ასევე გერმანულიდან და რუსული პროგრამებიდან. მხოლოდ ერთი პროგრამის საფუძველზე არ მომხდარა კლასტერული რეკომენდაციის გაცემა.

გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა შეკითხვა, თუ რა ენობრივ კომპეტენციებზე გადის ინგლისური ენის პროგრამა?

რაზეც უპასუხეს რომ პროგრამა გადის B2 დონეზე, რაც სრულებით ლოგიკურია.

გოდერძი ბუჩაშვილმა ასევე იკითხა, თუ რა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აქვს დაწესებული დაწესებულებას?

რაზეც უპასუხეს, რომ ეროვნული გამოცდებით 50% -ზე მეტი უნდა მიიღოს ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

ირინა ლობჯანიძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა. ფრანგული ენის პროგრამის შემთხვევაში გაცემულია რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით. რეკომენდაცია სთავაზობს, რომ სტუდენტს არჩევითი სტატუსით მიეცეს ფრანგულენოვანი კურსების არჩევის შესაძლებლობა და ითხოვა, დაწვრილებით დაზუსტება, რა ზეგავლენას მოახდენს კურსების არჩევა ინტერნაციონალიზაციაზე?

ექსპერტი, თუ თათეშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ უცხოენოვანი საგნების დამატების შესახებ აღნიშვნა რჩევის სახით იყო გაცემული. რაც შეეხება რეკომენდაციას, იყო სავალდებულო საგნებში ლიტერატურის მიმართულებით რომ დაემატოს და გამრავალფეროვნდეს ლიტერატურა და ასევე, დაემატოს უცხოენოვანი ლიტერატურა.

ირინა ლობჯანიძემ დასვა შეკითხვა, თუ რა კავშირშია ეს ინტერნაციონალიზაციასთან?

რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ თუ უცხოენოვანი ლიტერატურა დაემატება და იქნება მოცემული უცხო ენაზე, სტუდენტებს ექნებათ მეტი ინფორმაცია საერთაშორისო მიღწევებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ შეფასების კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების დივერსიფიკაცია, ასევე, სილაბუსებში დავალებების სპეციფიკის

განსაზღვრამუდმივად მიმდინარე პროცესია უნივერსიტეტში და აღნიშნა, რომ მათთან არის საუნივერსიტეტო სისტემის ერთგვაროვანი შეფასების სისტემა. არის საერთო 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი, რაც შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს: სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში: არაუმეტეს 30 ქულა, შუალედური გამოცდა - არანაკლებ 30 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. მან ასევე თქვა, რომ არგუმენტირებულ პასუხში ჩამონათვალიც გააკეთეს, რა მეთოდებს და რა მაგალითებს იყენებენ შეფასებისას და აღნიშნა, რომ ამ ყველაფრის გამრავალფეროვნება მუდმივად შეიძლება, მაგრამ ყველა ეს კომპონენტი აბსოლუტურად ახერხებს, რომ კონკრეტულ კურსებში სტუდენტის ცოდნა შეფასდეს სრულფასოვნად. მათში არის წერილობითი და ზეპირი ფორმები, პრეზენტაცია, საკითხის განხილვა და ა.შ. ისურვებდა, რომ ამ რეკომენდაციას რჩევის ხასიათი ჰქონოდა, რასაც აუცილებლად გაითვალისწინებენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:43 სთ

დასრულების დრო: 20:28 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გერმანული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმების გადახედვა. მნიშვნელოვანია კრიტიკულად იყოს გააზრებული და დალაგებული თითოეული შედეგის შეფასების კომპონენტი, ასევე, სამიზნე ნიშნული. სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა უნდა მოხდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამაში გაიწეროს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგის შეფასების გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია გათვალისწინებული იყოს სამაგისტრო თემაზე მუშაობის მთლიანი ციკლი და არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსის, სპეციფიკის და კომპლექსურობის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების დივერსიფიკაცია; ასევე, რეკომენდებულია სილაბუსებში დავალებების სპეციფიკის განსაზღვრა.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და კვლევითი უნარ-ჩვევების შეფასებაზე მეტი აქცენტის გაკეთება, ვიდრე ნაშრომის სხვა ტექნიკურ მხარეებზე.
- მნიშვნელოვანია, თუ დაწესებულება პროგრამით დაინტერესებულ გარეაქტორებთან კვლევას წარმართავდა არამარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე

კლასტერის საერთო რჩევები

- სასურველია პროგრამების ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა გაუზიაროს სხვა პროგრამის პერსონალს გამოცდილება პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების და შეფასების მიდგომების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ თუ რომელიმე პროგრამას (ამჯერად ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამას) ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა ამა თუ იმ უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილებით/ექსპერტიზით. ბუნებრივია, იგულისხმება შედეგებსა და მათ შეფასებაზე ტექნიკური მუშაობა და გათვალისწინებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკა.
- რეკომენდებულია პროგრამის თვით-შეფასების ჯგუფი და ზოგადად, პროგრამაში ჩართული პირები საფუძვლიანად იცნობდნენ პროგრამის სწავლის შედეგებს და სწავლის

შედეგების შეფასების მექანიზმს, გეგმას. საჭიროა საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და მსჯელობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურების შესახებ

- სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის გრაფიკული და მატრიცული მონაცემებს თან დაერთოს ანალიზური განმარტებები დასკვნის სახით, რათა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა თანმიმდევრულად გაითვალისწინონ ყველა ის მოთხოვნა, რაც გააუმჯობესებს კურიკულუმებს;
- სასურველია კვლევის შედეგების პირველადი ინტერპრეტაცია განხორციელდეს ინსტიტუციურად, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულად გააზრებისა და ჰოლისტურად პროგრამების კონცეპტუალური განვითარების მიზნით;
- სასურველია გაფართოვდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წრე, რომელიც ხარისხის ინსტიტუციური კულტურის გაღრმავების მიზნით მუდმივად ჩართული იქნება საგანმანათლებლო სიხლეების გაცნობისა და შესწავლის პროცესში;
- სასურველია აკრედიტაციის დასრულების შემდგომ გაანალიზდეს გარე შეფასების შედეგები, გადაიხედოს და მომზადდეს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საუნივერსიტეტოს პროცედურები კლასტერული აკრედიტაციის შესაბამისად.
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებდა კალსტერული აკრედიტაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს.

პროგრამა 1 - "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ცოდნა/გაცნობიერების, უნარების და ავოტონომიურობის შედეგების განვითარების სწორად განსაზღვრის მიზნით.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ლოგიკა. შესაძლებელია საჭირო გახდეს შეფასების კომპონენტების დახვეწა რათა უფრო ნათლად ჩანდეს სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობა.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა და თანხვედრაში მოვიდეს ლიტერატურის კვირეულ განაწილებასთან. გარკვეულ შემთხვევებში რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურის შეცვლა.

რჩევები:

- სასურველია მეორე უცხოური ენა მესამე და მეოთხე სემესტრებში რამდენიმე დონით იყოს შეთავაზებული სტუდენტებისთვის.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსების სფერო/კომპლექსურობის სათანადო ასახვა და შედეგების სწორად შეფასება. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია გარკვეული შედეგების გაერთიანება ან ამოღება.

პროგრამა 2 - "გერმანული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაში გაძლიერდეს ლინგვისტური მიმართულება (შესაძლოა ენის დაუფლების კომპონენტების შემცირების ხარჯზე), რაც უზრუნველყოფს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში

ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებების ოპტიმალურ თანაშეწონილობას.

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების ლიტერატურა და მათი განსაზღვრა მოხდეს სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით.
- რეკომენდებულია შეფასების რუბრიკები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის მიზნებთან და შედეგებთან;

რჩევები:

- სასურველია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტი „საკურსო ნაშრომი“ შეთავაზებულ იქნას საბაკალავრო ნაშრომის სახით, გამომდინარე ზემოხსენებული სასწავლო კომპონენტის შინაარსიდან.
- რეკომენდებულია მოდიფიცირდეს სასწავლო კურსის „გერმანული ენა 8“ შინაარსი, ამოღებულ იქნას თეორიული კურსის „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“ ცალკეული თემები, რათა წინამდებარე სასწავლო კურსი არ მოვიდეს მეორე კურსის თემატურ გადაფარვაში.
- სასურველია სასწავლო კურსების „წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა 1, 2, 3, 4“ სათაური და შინაარსი მოვიდეს თავსებადობაში.

პროგრამა 3 - "ფრანგული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ითვალისწინებს ფრანგული ტექსტის/მაგალითების დამუშავება, ანალიზს, წინაპირობად განესაზღვროს შესაბამისი დონის ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი, იმისთვის რომ სასწავლო კურსით განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგები იყოს რეალისტური.
- პროგრამის სწავლის შედეგი 2 და ამ შედეგზე გამსვლელი კონკრეტული სასწავლო კურსების მიზნები, შედეგები და თემატური მასალა მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
- სასწავლო კურსის შედეგებში და შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგებშიც, ენის ფლობისა დარგობრივი მახასიათებლისა და კვალიფიკაციის მე-6 დონის აღმწერის შესაბამისად, გამოიკვეთოს „კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

რჩევები:

- სტუდენტისთვის მეტი სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია, სწავლის შედეგი 4-ს ფორმულირება დაზუსტდეს ენობრივი ნიშნით.
- სასურველია, ფრანგული ლიტერატურის მიმართულებით ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა გამრავალფეროვნდეს თანამედროვე ლიტერატურით.
- სასურველია, არჩევითი სასწავლო კურსის - ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკა - სახელწოდება, მიზნები, შედეგები და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
- სასურველია შედარებით მაღალ სემესტრზე გათვლილ სასწავლო კურსებში, როდესაც სტუდენტს აქვს უკვე საკმარისი ფრანგული ენის ცოდნა, სასწავლო კურსები გამდიდრდეს ფრანგულენოვანი ლიტერატურით, რაც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს დარგობრივი ტერმინოლოგიის შესწავლა/გამოყენებას, დარგთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე ფრანგულ ენაზე მსჯელობას, ხოლო მეორე მხრივ სტუდენტი გაეცნობა სფეროს თანამედროვე მიდევებს.

- სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით, სასურველია, ერთმანეთთან უფრო მეტად შესაბამისობაშია მოვიდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის შედეგი და შეფასების კრიტერიუმები.
- სასწავლო კურსის შედეგებში და შესაბამისად პროგრამის შედეგებშიც უფრო მეტად გამოიკვეთოს ავტონომიურობის შედეგები.

პროგრამა 4 - "რუსული ენისა და ლიტერატურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები - არ არის

რჩევა:

- სასურველია ცალკეულ სილაბუსებში დაიხვეწოს საგნის სწავლების მიზნები და განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა

პროგრამა 5 - "ინგლისური ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები - არ არის

რჩევა:

- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ჩანაწერი შეიცვალოს და წაიშალოს დამატებითი კრიტერიუმები, რომლებიც დაწესებულია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებისას თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში. საუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისად, დამატებითი კრიტერიუმები პროგრამაზე მოსვლის შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

პროგრამა 6 - "გერმანული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსს „პრაგმატიკა“ შეექმნას წინარე ცოდნა სასწავლო კურსის „სემანტიკა“ შეთავაზების საფუძველზე.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსი „პოლიტოლინგვისტიკა“ დაჯგუფდეს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის არჩევით კურსებთან და გადაინაცვლოს შემდგომ სემესტრში.
- რეკომენდებულია, „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი - საკურსო ნაშრომი ტრანსფორმირდეს სრულიად სასწავლო კომპონენტის სახით, სადაც მაგისტრანტი დაეუფლება სამაგისტრო ნაშრომის დიზაინის აგების პრინციპებს, ან სრულად ამოღებულ იქნას სასწავლო გეგმიდან და ჩანაცვლდეს მაგისტრატურის საფეხურისთვის მნიშვნელოვანი დარგობრივი სასწავლო კურსით რეკომენდებულია კვლევის მეთოდების მითითება საკვალიფიკაციო ნაშრომში, რაც ხელს შეუწყობდა შერჩეული საკვლევი კორპუსის გამოყენების დასაბუთებას და დასკვნის ტრანსპარენტულობას.

რჩევები:

- სასურველია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ენის დაუფლების სასწავლო კურსისთვის.
- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში, სადაც 1.4 ნომრად მითითებული „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1)“, ნაცვლად უნდა ჩაიწეროს

„ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.1)“, ხოლო 1.8 ნომრად მითითებული „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C 2)“, ნაცვლად უნდა ჩაიწეროს „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)“.

- მიზანშეწონილია გასწორდეს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობა და „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.1)“-ი მითითებულ იქნას „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)“-ის წინაპირობად.
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“, და ასევე სასწავლო კურსი/კურსები ლინგვისტიკის ან ლიტერატურის მიმართულებით (დიფერენცირებულად სამაგისტრო ნაშრომის მიმართულების შესაბამისად)
- ვინაიდან პროგრამა ქართულენოვანია და შესაბამისად, საკვალიფიკაციო ნაშრომი იწერება ქართულ ენაზე, სასურველია სასწავლო კურსი „სამეცნიერო ენა“, იკითხებოდეს ქართულად.

პროგრამა 7 - "ფრანგული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაციები:

- ფრანგული ლიტერატურის მიმართულებით სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, სწავლის სფეროს ამსახველი და სწავების საფეხურის შესაბამისი თანამედროვე ფრანგულენოვანი ლიტერატურით გამდიდრებას და კურსის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას.

რჩევები:

- სასურველია, სწავლის შედეგი 4-ში დაკონკრეტდეს საუბარია საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს C1 თუ C2 დონეზე
- ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით არჩევითი საგნის სტატუსით სტუდენტს მიეცეს ფრანგულენოვანი კურსების არჩევის შესაძლებლობა.
- ლიტერატურის მიმართულებით ზოგიერთ სასწავლო კურსში გადაიხედოს სტუდენტის კვირეული დატვირთვა და მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის გონივრული გადანაწილება კვირების მიხედვით.

პროგრამა 8 - "რუსული ენისა და ლიტერატურის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რეკომენდაცია:

- პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული, თუმცა, სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად რეკომენდებულია კვლევის მეთოდების სწავლება ცალკე სასწავლო კურსის ფარგლებში, ან რომელიმე არსებული კურსის გაძლიერებით.

რჩევები:

- სასურველია მესამე მიზნის ფორმულირების დაზუსტება: ნაცვლად „ჩამოუყალიბოს რუსული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების კვლევის, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენების ანალიზის, რუსულენოვანი მხატვრული და დარგობრივი ტექსტების თარგმნისა და ინტერპრეტაციის, არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი“ – „გაადრმავოს“, ვინაიდან ჩამოთვლილი უნარების ძირითადი ნაწილი ყალიბდება „რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის დონეზე.
- რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“.

და ასევე სასწავლო კურსი/კურსები ლინგვისტიკის ან ლიტერატურის მიმართულებით (დიფერენცირებულად სამაგისტრო ნაშრომის მიმართულების შესაბამისად).

- სასურველია სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სათაური არ იმეორებდეს საბაკალავრო პროგრამის საგნის სათაურებს, როგორც ამას აქვს ადგილი პრაქტიკული კურსების შემთხვევაში (რუსული ენა 1, რუსული ენა 2).

5. საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია History
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	08.09.2012 #620
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ისტორია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის ბაკალავრი Bachelor of History
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სამეგრელო-ზემო სვანეთი, ზუგდიდი, 2100, ჯანაშიას ქ.№14, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მერაბ ჭუმბურიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა, რომ კლასტერულად აქვთ ორი რეკომენდაცია, პირველი ეს არის: აისახოს ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში მიღებული კომპეტენციების და ცოდნის ტრანსფერი სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში, რათა შეიქმნას წინაპირობა უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე უწყვეტი სწავლის გაგრძელებისათვის. მიუხედავდ იმისა, რომ უნივერსიტეტმა გაიწვია და შეწყვიტა წარმოება სიძველეთმცოდნეობის პროგრამაზე, მაინც დატოვეს რეკომენდაცია იმ მიზეზით რომ თუ მომავალში იქნება წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, არსებული იყოს გათვალისწინებული .

მეორე რეკომენდაცია გახლავთ: განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.

რაც შეეხება ისტორიის საბაკალავრო პროგრამას, აქაც გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. პირველი ეხება მიზანში ფორმულირებულ წინადადებაში - „განსხვავებული ტიპის წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ისტორიის რეპრეზენტაციას“, ფიქრობენ რომ აქ რეპრეზენტაციის ნაცვლად გამოყენებული იქნეს სხვა ტერმინი, მაგალითად, რეკონსტრუქცია ან ინტერპრეტაცია, რადგანაც მიიჩნიეს, რომ ისტორიის რეპრეზენტაცია განათლების ამ საფეხურისთვის მიუღწევადია.

შემდეგი რეკომენდაცია არის: გადაიხედოს სამი სასწავლო კურსის ისტორიის ფილოსოფია, ნუმიზმატიკა, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. რეკომენდაცია ეხებოდა სილაბუსის გადახედვას და სავალდებულო ლიტერატურის რიცხვის შემცირებას საგნის კრედიტების შესაბამის გონივრულ რაოდენობამდე.

რაც შეეხება შემდეგ რეკომენდაციას, ესაა ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა. შესაბამისად ეს იქნეს ასახული საბიბლიოთეკო წიგნად ფონდში. ბოლო რეკომენდაცია ეს არის დაკონკრეტდეს და დაწვრილებით იქნეს წარმოდგენილი ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში სხვადასხვა აქტივობებისთვის გასაწევი ფინანსური მხარდაჭერისათვის განკუთვნილი ხარჯები. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა არსებული რეკომენდაციები და მიიჩნია, რომ ეს რეკომენდაციები მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისაკენ და განვითარებისკენ. ეს ყველაფერი არ მოითხოვს პროგრამის მნიშვნელოვან ცვლილებას, ამიტომ მათი აზრით, პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელი, ლევან ჯიქია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. მან თქვა, რომ პროცესი მიმდინარეობდა გაწერილი დღის წესრიგით. დასმულმა კითხვებმა კი დაარწმუნათ რომ პროგრამა ნამდვილად კარგად ჰქონდათ შესწავლილი. წარმოდგენილია 5 რეკომენდაცია, აქედან სრულად იზიარებენ 1-ელ, მე-4 და მე-5 რეკომენდაციას. ხოლო მე- 2 და მე-3 რეკომენდაციას ნაწილობრივ. მიუხედავად იმისა, რომ რჩევები არ განეკუთვნება სავალდებულოდ შესასრულებელ მითითებებს, მიიჩნიეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რჩევები გასცეს ექსპერტებმა და მას აუცილებლად გაითვალისწინებენ.

პირველი რეკომენდაცია, რაც ეხებოდა ტერმინ რეპრეზენტაციას, თქვა, რომ ამ ტერმინს ორი მნიშვნელობა აქვს, ერთი ეს არის რაღაცის ხელმეორედ წარმოდგენა, მეორე მნიშვნელობა აქვს წარმომადგენლობითობა. დაწესებულება ამ ტერმინის პირველ მნიშვნელობას გულისხმობდა, თუმცა იქიდან გამომდინარე რომ ამან გარკვეული კითხვები გამოიწვია კოლეგებში, მიიჩნის, რომ შესაძლებელია ამან უფრო მეტი კითხვები გამოიწვიოს აბიტურიენტებისთვის, მათი მშობლებისთვის და ა.შ. ამიტომ, თქვა რომ ეს არ არის პრინციპული საკითხი და ამიტომ მისაღებად მიაჩნიეს ექსპერტების რჩევა და უპირატესობა მაინც ტერმინს „რეკონსტრუქცია“ მიანიჭეს.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, აქ საუბარია ცალკეულ სილაბუსებში უახლეს ლიტერატურაზე, თუმცა თქვა, რომ აქ მცირე უზუსტობაა, მაგალითად დასკვნაში ასახულია, რომ ერთ-ერთ სასწავლო კურსში მართლმადიდებლურ სამოციქულო ისტორიაში, თითქოს 2019 წლით იყო გამოცემული, თუმცა ეს ასე ნამდვილად არ არის, აქ საუბარია ანანო ჯაფარიძის წიგნზე. სავალდებულო ლიტერატურაში მათ მითითებული აქვთ სერგო ვარდოსანიძის წიგნი „საქართველოს ეკლესიის ახლოვანი მატთანე 1917-2017“.

ასევე როდესაც საუბარია ერთ-ერთ არჩევით წიგნზე ნუმიზმატიკაზე საუბარი თითოს 2009 წელს იყოს ყველაზე ახალი ლიტერატურა მითითებული თუმცა 2011 წლის ნაშრომიც არის მითითებული . თქვა რომ რუსეთის ისტორიაში 2001 წელს გამოცემული წიგნები აქვს პირადად მითითებული თუმცა გაკეთებული აქვთ რექტორის რიდერიც მითითებული შესაბამისად ის ხარვეზი რაც ქართულენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით არსებობს ამას რიდერით ავსებს . ამიტომ ამ რეკომენდაციას მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებენ სადაც შესაძლებლობა არის თუმცა თქვა , რომ ყველა სილაბუსში ამის გაკეთება შეუძლებელია და

მარტო ნაშრომის თარიღით ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად არ მიაჩნია როდესაც მის შინაარსზე არ არის საუბარი . შესაძლებელია ახალმა გამოცემამ სრულად ვერ ჩაანაცვლოს წინა ნაშრომები.

მესამე რეკომენდაცია ეხება სამ სასწავლო კურს ისტორიის ფილოსოფია, ნუმისმატიკა, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. ისტორიის ფილოსოფიაში ლიტერატურის შემცირება მიზანშეწონილად მიაჩნიათ , თუმცა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია თქვა , რომ მართალია 18 ლიტერატურაა მითითებული . ერთერთი ლიტერატურაა ქართული დიპლომატიის ისტორია ქრესტომათია , ეს არის 600 გვერდიანი წიგნი სადაც სხვადასხვა დოკუმენტებია თავმოყრილი ძველი წელთაღრიცხვით მე-12 საუკუნიდან XX საუკუნის ბოლომდე . ცხადია რომ ამ წიგნს მთლიანად არ იყენებს , სჭირდება რუსეთის იმპერატორის მანიფესტი რომელიც 2 გვერდიანია ასევე მითითებულია 1832 წლის შეთქმულება სადაც ასევე რაღაც დოკუმენტებია მითითებული. რომ სტუდენტებმა გაიგონ ამ შეთქმულების აზრი . სტუდენტები ბოლომდე არ ამუშავებენ ამ წიგნებს . ასევე როდესაც მითითებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებები იქიდანც მხოლოდ ნაწილი სჭირდებათ . შესაბამისად ლიტერატური შემცირება გამოიწვევს რაღაც საკითხის ამოღებას . 13 წლიანი გამოცდილება აქვს ამ საკითხში და არასდროს ჰქონი შემთხვევა როდესაც სტუდენტებმა ვერ დაძლიეს სასწავლო მასალა . ფიქრობს რომ ამ რეკომენდაციის გათვალისწინება სრულად სტუდენტებს და სასწავლო პროცესს დააზარალებს . შესაბამისად ამ რეკომენდაციის გათვალისწინება შესაძლებელია ნაწილობრივ ზოგიერთ საგნებში .

შემდეგი რეკომენდაცია ეხება უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის გაზრდას. აქ დაწესებულების და ექსპერტების მოსაზრებები სრულიად ემთხვევა . ექსპერტთა შეხვედრის შემდეგაც უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი გარკვეული ლიტერატურით გამდიდრდა .

მე-5 რეკომენდაციაც დაწესებულებისთვის აბსოლუტურად მისაღებია , მიუხედავდ იმისა რომ პროგრამა 2019 წლიდან სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ . ექსპერტებმა დააყენეს საკითხი თუ რაში იხარჯება პროგრამასთან მიმართებით თანხები ეს რეკომენდაციაც მისაღებია და მარტივად მისაღები .

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადებას დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა . თქვა რომ კარგად ისაუბრა იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით , რომელიც ეხება ლიტერატურის განახლებას თუმცა პასუხის ფოკუსი ძირითადად მიმართული იყო იმ სასწავლო კურსებისკენ რომელიც ჩამოთვლილი არის ექსპერტების მიერ . დასვა კითხვა ფიქრობს თუ არა , რომ სხვა სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა ნამდვილად საჭიროებს განახლებას .

მეორე კითხვა ეხება საბაკალავრო ნაშრომს , საბაკალავრო ნაშრომი დებულებაში არის შემდეგი რომ "სტუდენტს მიმართულების ხელმძღვანელი ურჩევს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი " . დასვა კითხვა ეს ყოველთვის ასე ხდება ? არ აქვს სტუდენტს თავისუფლება, რომ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი აირჩიოს თავად გამომდინარე იქიდან თუ რა არის მისი ობიექტი .

ასვე დასვა შემდეგი შეკითხვა , როდესაც იგი გაეცნო პროგრამას მის აკადემიურ პერსონალს თქვა რომ აკადემიური პერსონალის ნაწილი საქმდება 2, 3 , 4 სასწავლო კურსისი ფარგლებში . ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია , რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერული განვითარების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში და კვლევით საქმიანობაში . დასვა კითხვა რამდენად არის ეს რეკომენდაცია და არა რჩევა .

თქვა , რომ პროგრამის თვითშეფასებაში ძირითადში მითითებული იყო სართაშორისო დონის პროგრამებში და პროექტებში სრულდენტების მონაწილეობა , მითითებულია სწავლევითი მონაცემები ეს არის 30 სტუდენტი დასვა კითხვა ეს არის საეთო საუნივერსიტეტო რაოდენობა თუ კონკრეტულად ამ პროგრამის . თუ კი ძალიან კარგია თუ არა რას აპირებს დაწესებულება ამ პროგრამის შემდეგი ინტერნაციონალიზაციის გაზრდის მიზნით.

ექსპერტმა თქვა რომ ვიზიტის დროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთანაც ჰქონდა შეხვედრა , შესაბამისად დაინახეს პოტენციური რომელიც უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას განაახლოს როგორც აკადემიური პერსონალი , მოიწვიოს ახალი პერსონალები არამედ გამოაცხადოს კონკურსი . შესაბამისად ამიტომ გაიცა რჩევა და რეკომენდაცია .

ლევან ჯიქიამ უპასუხა კითხვას ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით , თქვა რომ აპირებენ სემესტრში ერთხელ შეხვდნენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს . მისცენ მითითება მუდმივად მოხდეს სილაბუსებში ლიტერატურის განახლება რათა უნივერსიტეტი არ ჩამორჩეს იმ სიახლეებს რომელიც ხდება ქვეყნის თუ უცხო მამუტაბით.

რაც შეეხება შემდეგ კითხვას აქვს თუ არა ბაკალავრებს უფლება თავად აირჩიონ საბაკალავრო თემა . თქვა რომ სრული თავისუფლება აქვთ , აქ იგულისხმა ერთი საკითხი როდესაც მათ უჭირთ არჩევანი გაკეთება მაშინ ეხმარებიან მიმართულების გაკებაში რათა დააკავლიან და გარკვეული რჩევები მისცეთ . სრული თავისუფლება აქვთ აირჩიონ ის თემა და ხელმძღვანელი რომელიც სურთ .

მესამე კითხვა ეხებოდა ასისტენტ-პრფესორის არჩევას რაც რჩევაშია მოცემული . უნივერსიტეტის მთავრი მიმართულება და პრიორიტეტია ახალგაზრა პერსონალები იყვნენ ჩართულნი პროგრამაში . თუ გადახედავენ პროგრამის აკადემიური პერსონალს ეს ნამდვილად იგრძნობა . მიუხედავდ იმისა რომ პროგრამს ჰყავს ერთგული ბირთვი მუდმივად მიმდინარეობს ახალი კადრების მოძიება .

ქეთევან ლატარია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას . უპასუხა კითხვას გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით თქვა , რომ აქ წარმოდგენილი იყო კლასტერში ამიტომ რაოდენობრივი მაჩვენებლები იყო კლასტერის მიხედვით დაჯგუფებული . ისტორის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გაცვლით პროგრამაში სულ მონაწილეობდა 7 სტუდენტი ჯამში . ჯამში 30 სტუდენტი იგულისხმა ჰუმანიტარული მეცნიერებების . უნივერსიტეტი ყოველთვის მონაწილეობს გაცვლით პროგრამაში ამჟამადც გამოცხადებული აქვთ ერასმუს + პროგრამა . პირველად გაცვლითი პროგრამით სტუდენტი ისტორიის საბაკალავრო პროგრამიდან იყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:50 სთ

დასრულების დრო: 20:54 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- აისახოს ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში მიღებული კომპეტენციების და ცოდნის ტრანსფერი სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში, რათა შეიქმნას წინაპირობა უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე უწყვეტი სწავლის გაგრძელებისათვის;
- განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით.
- მიზანში ფორმულირებულ წინადადებაში - „განსხვავებული ტიპის წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ისტორიის რეპრეზენტაცია“, რეპრეზენტაციის ნაცვლად გამოყენებული იქნეს სხვა ტერმინი, მაგალითად, რეკონსტრუქცია ან ინტერპრეტაცია, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ისტორიის რეპრეზენტაცია განათლების ამ საფეხურისთვის მიუღწევადია;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა განაახლოს სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა;
- გადაიხედოს სამი სასწავლო კურსის (ისტორიის ფილოსოფია, ნუმისმატიკა, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია (XIX-XX სს.) სილაბუსი და სავალდებულო ლიტერატურის რიცხვი შემცირდეს საგნის კრედიტების შესაბამის გონივრულ რაოდენობამდე;
- განახლდეს საბაკალავრო პროგრამის საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით;
- დაკონკრეტდეს და დაწვრილებით იქნეს წარმოდგენილი ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში სხვადასხვა აქტივობებისთვის გასაწევი ფინანსური მხარდაჭერისათვის განკუთვნილი ხარჯები.

რჩევები:

- სასურველია, ისტორიისა და სიძველეთმცოდნეობის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სიძველეთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მიზანსა და ამოცანებში გამოიკვეთოს კავშირი ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს შორის;
- სასურველია, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შედგენისას გამოყენებული იყოს ერთნაირი მიდგომები და პრინციპები;
- სასურველია გაიმიჯნოს სილაბუსებში ერთმანეთისაგან სწავლა-სწავლების მეთოდები და სწავლების ფორმატი;
- სასურველია, გაიზარდოს ინფორმირებულობა სტუდენტებში უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ;
- სასურველია, კარიერის განვითარების ცენტრის საქმიანობის ცნობადობის გაზრდა;
- სასურველია, გაიზარდოს პარტიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების რაოდენობა;
- სასურველია, რომ პროგრამის ხანგრძლივობის განსაზღვრისას გარდა 4 წლისა ასევე მიეთითოს სემესტრების რაოდენობაც - 8;
- სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრისას ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ნაცვლად გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმულირება: „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები“, ხოლო არჩევითი კურსების ნაცვლად კი „ძირითადი“;
- სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები“;
- სასურველია პროგრამაში აისახოს აფხაზეთის და სამეგრელოს რეგიონის ისტორია და კულტურა ცალკეული სასწავლო კურსების სახით;

- სასურველია პროგრამის სტრუქტურაში შეტანილი იქნას ახალი სასწავლო კურსი - ბიზანტიის ისტორია, ან აისახოს ბიზანტიის ისტორიის ნაწილი სასწავლო კურსში „ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსანთა ეპოქა“;
- სასურველია უფრო აქტიურად წარიმართოს ახალი სასწავლო ლიტერატურის მოძიების პროცესი, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ გაეცნონ დარგში უახლესი კვლევების შედეგებს;
- რადგანაც პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ინგლისური ენის შესწავლას, სასურველია მოძიებული იქნეს ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, განსაკუთრებით მსოფლიო ისტორიის მიმართულებით;
- ახალგაზრდა მეცნიერთა კარიერული განვითარების მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების მქონე პირები და ხელი შეეწყოს მათ ინტეგრაციას პროგრამებსა და კვლევით საქმიანობაში.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭო დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 13 თებერვლის 21:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

